


№ 3 - 67



ყოველ-კვირეული ჟურნალი

№ 8

წელიწადი 1967



საგანი №	
აღიწილი №	
ბეჭდის №	
ფურცლის №	
საბეჭდო №	<i>გაბრიელ</i>

ფასი 10 კპ.

მიიღება ხელის მოწერა



უძველესი კვირეული საზოგადო-ეკონომიკური

და სალიბერალური ჟურნალი

„კლდე“-ზედ.

1913 წლის იანვრიდან ჟურნალი უფრო ფართო პროგრამით გამოიცემა, ჩაერთობა ილუსტრაციები, კარიკატურები და სხ. მოწვეულ არიან ახალი თანამშრომელნი, როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთსა და საზღვარ გარედან.

ფ ა ს ი:

1 წლ.	6 თვ.	3 თვ.	1 თვ.	კალამ №
5 მან.	2 მ. 75 კ.	1 მ. 50 კ.	50 კ.	10
4 მან.	2.50 კ.	1 მ.	40 კ.	10

სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს, სტუდენტებს და კოოპერატიულ დაწესებულებათ დაეთმობათ

საზღვარ გარედ ყველა ფასებს ემატებათ თვეში 2 შაური გადასაცემი.

განცხადების ფასი:

კანტორასთან შეთანხმებით.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის

უძველესი კვირეული საზოგადო-ეკონომიკური

წელიწადი
მეორე
1913

ი მ ე რ ე თ ი

წელიწადი
მეორე
1913

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით 4 აბაზი და კალკულუმის 1 შაური.

წლიურ ხელის მომწერლებს შეუძლიათ გაზეთის ფასი ა მნაირად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს სამი მანეთი, პირველ მაისს ორი მანეთი და პირველ ნოემბრისთვისაც ორი მანეთი.

მოსწავლეებს, სათვისტომოებს და სოფლის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი წლიურად ეთმობათ ოთხ მანეთად. ხოლო ნოქრებსა და სოფლის მასწავლებლებს — ხუთ მანეთად.

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა ყველასათვის — სამ მანეთად.

გაზეთის დასაცემი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოდ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნას: **Кутаись, редакция и контора газеты „ИМЕРЕТИ“, Антону Михайловичу Хеладзе.** სხვაგვარად გამოგზავნილ ფულსა და ანგარიშებს რედაქცია თავის დროზე ვერ მიიღებს.

23 (05)
5-67



№ 8

17 თებერვალი 1913 წ.
ქართული
ზინჯირთხევა

ვისაც 1913 წლ. არ
გამოუწერია ჟურნალი
„კლდე“, იანვრიდან
ალარ ეგზავნება.



ქოველ კვირეული საზოგადო მოღონო

მიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ლიაა 10-3 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевский пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

სარჩევნი: კიდევ ახალი კანონი.—ალ. უაფშიძე-
სი. ვლ. ალექსი-მესხიშვილის იუბილეი.—რეესი.
ქართველი სოციალ-დემოკრატის კრიზისი.—ა—
ნისა. არეი.—ალექსი ი. მჭედლიშვილისა. შინა
მრეწველობის აგონია ჩვენში.—თევდ. ლლონ-
ტისა. ჰომრული—რ.—გესი. ალ. ს — ძე ხახანაშვილი.
—დ. კასრაძისა. ხაფხური ჰოეზიის ნაწევრები.

კიდევ ახალი კანონი

კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ შეიმუშავა ახალი კანონი და ჯეროვანის განხილვის შემდეგ აქ, თბილისში, გაგზავნა პეტერბურგს, სადაც, შეიძლება, წრეულვე დაამტკიცონ და განზრახული კანონი ძალაში შეიყვანონ. კანონს აზრად აქვს მოსპოს ის დამოკიდებული ურთიერთობა, რომელიც არსებობს დაღესტანში და ზაქათალის ოლქში ბეგისა და სოფელელის შორის და კეშკელის-პატრონის და კეშკელის-გამლების შორის.

ჩვენ, ქართველთათვის, ფრიად საინტერესო და საყურადღებო უკანასკნელი ურთიერთობაა და ამის გამო მეტს ყურადღებას ამას მივაქცევთ.

ტურფა კახეთის აღმოსავლეთის ტურფა ნაწილს ძველად ეწოდებოდა ჰერეთი, რომელნი და ბერძენნი კი ალბანიას უძახდნენ. ალბანია დიდი კუთხე იყო და დღევანდელი ადმინისტრაციული

დანაწილება რომ მოვიშველიოთ, მაშინ დავინახავთ, რომ ალბანიაში შედიოდა ზაქათალის ოლქი, სიღნაღისა, ნუხისა, არეშისა და აღდაშის მაზრები. ჰერეთში შედიოდა ალაზნის და ივრის ხეობათა ქვემო ნაწილი, ესე იგი ამ მდინარეთა შესართავები. პატარა საინგილო ძველის ჰერეთის ერთი მცირე ნაწილია.

როგორც ოსმალეთმა წაჰგლიჯა საქართველოს სამხრეთი ნაწილი, ეს უუკულტურესი კუთხე ჩვენის სამშობლოსი, ისევე სპარსეთმა წაიღო კახეთის აღმოსავლეთი მხარე, ხალხი ამოსწყვიტა და ქვეყანა გაავერანა. ირანის დესპოტმა შაჰ-აბაზმა მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში დასწვა კურმუხის წმინდა გიორგის მშვენიერი ტაძარი, ერი გაელიტა, ხოლო ნაწილი სპარსეთში გადაასახლა. აი სწორედ ამ დროს ჩავსვენა ჰერეთის ვარსკვლავი.

გაოხრებულ და გავერანებულ ქვეყანაში შორს მხედველმა და დიდმა კოლონიზატორმა ჩაასახლა მულალოს თათრები და ნება მისცა თავის მოკავშირე დაღესტნის მთიულებს ჩამოსულიყვნენ ბარში დაბინავებულიყვნენ ჰერეთში. მშიერ და მწირ დაღესტნიდან დიდის ხალისით ჩამოვიდნენ მთიელები ბარში და დაბინავდნენ დიდ თოხუმებად, ანუ გვარებადა თითოეული გვარი, ან თოხუმი თავისუფალ რესპუბლიკას წარმოადგენდა. ამ თოხუმებმა დაიყვეს დღევანდელი ზაქათალის ოლქი და იწყეს უდარდელად ცხოვრება. მართვა-გამგეობა დაპყრობილ ქვეყნისა, ომიანობა თოხუმების ხელში იყო,

ხოლო მიწის შემუშავება და საქონლის მოვლა დააკისრეს დამორჩილებულ ერს — მულალოს თათრებს და მცირეოდენ ქართველობას, შაჰ-აბაზის ელექტასა და მუსვრას ვინც გადაარჩა. ქართველებს ძალით მაჰმადის სარწმუნოება მიაღებინეს, ისე როგორც ზემო ქართლში (მესხეთი) და სახელად უწოდეს ინგილო, ესე იგი ახლად მოქცეული.

ჰერეთის დამპყრობლებმა ხარკი (ხარაჯა) დაადეს დაპყრობილ ერსა — მულალოს თათარს და ინგილოს. აი სწორედ ამ ხარაჯას უწოდებენ კეშკელს. კეშკელი განსაზღვრული გადასახადია და იღებს თოხუმი, რომელიც მერე ანაწილებს მას თავის წევრთა შორის.

რუსები რომ დამკვიდრდნენ საქართველოში, ზაქათალის მოუსვენარ და მუდამ ომის ჟინზე მღვარ რესპუბლიკებსაც შეუტყეს და მალეც შემუსრეს მათი საომარი ძალა. პოლიტიკური გავლენა ჭარ-ბელაქნისა სამუდამოდ დაეცა. რუსის მხედრობამ ყველა ეს ადვილად მოახერხა, მაგრამ დაავიწყდა, თუ ვერ მოახერხა, ძნელი გამოსაცნობია, კეშკელს ხელი არ ახლო და დღევანდლამდე არსებობს ეს შეუწყნარებელი სამხედრო ხარაჯა — ნაშთი ბარბაროსობის ეპოქისა.

როგორც მოვიხსენიეთ, კეშკელს იხდიან მულალოს თათრები და ინგილონი. უკანასკნელნი ორ ტოტად იმყოფებიან, ნაწილი მართლ-მადიდებელია, ხოლო მეორე ნაწილი მაჰმადის რჯულისაა.

მთავრობამ ვერ გაბედა და ერთის დაკვრით ვერ მოსპო ეს უმგზავსო გადასახადი. განზრახული კანონი აპირობს დაღესტნის ბეგებს და კეშკელის პატრონებს მისცეს იმოდენა თანხა, რასაც შეადგენს ათის წლის განმავლობაში გადახდილი კეშკელის და რაიას გადასახადის ღირებულობა (დაღესტანში დამოკიდებულ წოდებას რაია ჰქვია). ვარაუდით ეს თანხა უდრის 585,468 მანათს და 55 კაპეიკს. ამ ფულს მთავრობა დაიბრუნებს ხალხიდან 10 — 20 წლის განმავლობაში. მთავრობისაგან გადაღებულ თანხას — 585,468 მ. 55 კ. გაუნაწილებენ დაღესტნის ბეგებს და ზაქათალის ოლქის კეშკელის პატრონთ მომრიგებელნი შუაკაცნი. როდესაც კანონთ დამტკიცდება, მომრიგებელ შუაკაცებს და საგლეხო საკრებულოსაც შემოიღებენ დაღესტანსა და ზაქათალაში.

ალ. ყიფშიძე.

კლ. ალექსი-მესხიძის იუბილეი

ქართული
ბიბლიოთეკა

საყვარელ არტისტს გულწრფელის სიხარულით და ზეიმით შეხვდა ქართველი საზოგადოება. მისი დღესასწაული იყო დღესასწაული ეროვნულ გრძნობათა გამოღვიძებისა და ნათლად შეგნებისა. ამ საზეიმო დღემ ერთხელ კიდევ დაგვანახვა, რომ

... არ მომკვდარა, მხოლოდ სძიხავს

და კვლავ ისევ გაიღვიძებს...

ჩვენი საყვარელი სამშობლო არა მარტო თავის მადლითცხებულ მგოსანთა და მსახიობთა სათაყვანებლად, არამედ საზოგადოთ ახალ ცხოვრებისათვის, ახალ სოლიდარობისათვის ყველა ეროვნულ დაწყებაში და მოქმედებაში.

მუსიკა, ლექსი, სიტყვები, ყველა ერთგვარ გამოხატულებას იღებდა, ყველა შეჰხაროდა ძვირფასს ლადოს და ამ ალტაცებაში იჭედებოდა ის ძლიერი რკალები ადამიანის გულთა, რომელნიც ჰქმნიან განუწყვეტელ ჯაჭვს ეროვნულ შემეცნებათა და გრძნობათა.

„მრავალჟამიერ“ ლადოს, ფალიაშვილის ხოროსი და ორკესტრისა იმდენადვე საზეიმო სიყვარულს გამოხატავდა ლადოსადმი, რამდენადაც ქართველთა ერის „მრავალჟამიერს“. ზოგიერთა „მერცხლების“ წარმომადგენელთაც კი შეუერთეს თავისი ჭიკჭიკი და შეუგუეს ეროვნულ ჰიმნსა, რაც მეტად სიმპტომატიურად უნდა ჩაითვალოს: ეროვნული გრძნობა მეტად ძლიერია ყოველ ადამიანში, რომ მისი გადათელვა შესაძლებელი იყვეს ვისგანმე.

მაგრამ გავერთე თითქო და თვით იუბილეს აღწერა კი მავიწყდება: გაზეთებში უკვე ჩამოთვლილი იყო ვინ რა სიტყვა სთქვა, ვინ რა საჩუქარი შესძღვნა ძვირფასს მსახიობს, მაგრამ ცარიელი ჩამოთვლა არ ხატავს იმ დიად სურათს, რომლის მოწამენი ვიყავით წარსულ კვირას.

სცენა მჭიდროდ შეკრულ თაიგულს ჰგვანდა ყვავილებისას, იმდენი წარმომადგენელი იყო სხვა და სხვა დაწესებულებისა, იმდენი მომღერალი და სტუმარი. თვით ლადო მესხიშვილი მარჯვნივ იდგა მაღლობზედ და გულისყურით მთლად მიქცეულიყო მიმლოცველთაკენ.

ბევრი სიტყვა წარმოითქვა, ბევრი ხოტბა შეასხეს მირონცხებულ ნიქს, მაგრამ ყველგან, როგორც ორი ლამაზი გრეხილი ყვავილებისა, მიიკლაკნებოდა ალტაცება არა მარტო ზეციურ ნიქის

წინაშე, არამედ სიამაყე იმ ერისაც, რომელმაც შობა და აღზარდა თავის გულ-მკერდზედ ასეთი შვილი.

ყველაზედ შინაარსიანი და ლამიზი სიტყვა წარმოსთქვა სახალხო გაზეთის წარმომადგენელმა, რომელმაც შეაერთა ყველა დამსწრეთა გრძობა-გონება ერთს ჰანგში სიხარულისა თავისის დასურათებით სინამდვილისა: „იმ ერს, სთქვა მან, რომელიც თავისუფალია ბატონობისგან, მრავალი აქვს საშუალება გამოხატოს თავისი სულიერი ნიჭი და მისწრაფებანი, მხოლოდ დაჩაგრულს და დევნილს კი, ერთი აქვს თავისუფალი ტრიბუნა, საიდანაც გაისმის არა მარტო ნამდვილი და ტკბილი მისი ენა, არამედ ხმამაღლა ლაღადებენ ზრახვანი მისნი — ეს არის სცენა და აი სწორედ აქ, დაუვიწყარმა ლადომ შექმნა ის სიყვარული, რომლითაც გაუღნითილი დღეს ვაგვირგვინებთ ჩვენ ეროვნულ გრძობათა გმირსა“.

თეატრი ზანზარებდა იმ განუწყვეტელი ტაშისაგან, რომლითაც შეხვდა საზოგადოება ქუმბახის სატყვას.

ორიგინალური სიტყვა წარმოსთქვა ფოსტის მოხელეთა წარმომადგენელმა იანქოშვილმა: „ხან მეფე ხარ, ხან ჩვენი ყმაო, ხან ჭკვიანი, ხან შემოლილიო, ხან მკუმუნვარე მოხუშული, ხან კი ტკბილი, პირმცინარეო“... და სხ.

მაგრამ ყველა სიტყვას, სიმღერას და დაკვრას სჯობდა ორიგინალური ხორო სულხანიშვილისა. მართალია, მუსიკალური მხარე შეუმუშავებელი იყო და ხმები საკმარისად გაუწვრთნელი, მაგრამ ეტყობა, დიდი მუსიკალური აღღო უნდა ჰქონდეს და გემოვნება ამ ახლად მოვლენილ ხელოვანს. სწორედ ვასაოცარია, როგორის სისწორით იყო გადმოცემული ხალხური „მესტვირული“ და ხმების, სიმღერის გამეორება მთებში გრავნილი უბუსაგან. მთელი ხორო ნაწილ-ნაწილად იყო გაყოფილი; სხვა და სხვა ადგილას იდგა სხვა და სხვა ხმაზედ შეწყობილი ჯგუფი და მესტვირეს ხმაზედ ვაჟაფშაველასაგან ნათქვამ სიტყვებს გადასცემდნენ ერთმანეთს, როგორც მთაში გამეორებული ხან ყრუ და ხან წკრილა უბუ:

„ქართულ თეატრის მშვენიერად,
დმერთმა აგხადას წყენაო!
ვნებათ რაზმებში შეპრძოლო,
საღამის მადგადღნით უველაო.
ამოღანისა ტაძარა
შენს თვალთ ცრემლს დაესველაო;

ქართულად ეხვეწებოდა,
ქართველებს მიეც შეველაო!

ოდელა, ბიჭო, დელაო,
ოდელა—დელა—დელაო.....



ქარივით აიტაცებდა ერთი ჯგუფი უკანასკნელ სიტყვებს და მთიდან მთაზედ, გორით გორამდე სხვა და სხვა იერით გადაჰქონდათ სივრცეში. მაყურებელთ ქრუანტელი უვლიდა იმ ცვალებად სილამაზისაგან, რომელიც რხატებოდა ხოროს ბუნებრივ განმეორებაში ბუნების სურათებისა.

ერთ ღრმს შეწირვა მსხვერპლისა
ძალიან გაგეძხელაო,
მაინც არჩაე უცხოურს
შენი მშობელი კერაო.

მშობელი დედის ძეძუსა
სხვას შედრება ვერაო?
ეს თურმე კარგად იცოდა
მით გადღეგრძელებთ უველაო.....

გუნდიდან გუნდში, როგორც მთის კალთებზედ ხელახლა განიბნა მძლავრი, ცვალებადი უბუ:

ოდელა, ბიჭო, დელაო
ოდელა—დელა—დელაო.....

და მთის მძლავრს, გულწრფელ საღამსა ბარის საზოგადოების აღტაცებული ტაშის ცემა ქუხილივით დაეუფლა...

შემდეგ, სიმღერა „სამშობლო ხევსურისა“ უფრო ნათელი მაჩვენებელი იყო საკომპოზიციო ნიჭისა ბ-ნ სულხანიშვილისა.

ხევსურის სიმღერას ხევსურთ შვილი იწყობდა გულსაკლავი, მაგრამ მძლავრი ამოძახილით, თითქო განთიადზე გამოღვიძებული ლომი არისო და ისეთი ორიგინალურის, ნაზი, ტკბილი ხმით ჩაათავებდა მუსიკალურ ფრაზას, რომ ყველა სახტად რჩებოდა ამ ქარიშხალივით დამქროლავ და სიოსავით მინახებულ ხმათა ცვლილებით.

მთანი კი, ჯგუფ-ჯგუფად მდგარნი, გულს იხუტებდნენ უკანასკნელ ხმებს და საოცარის ბუნებრივობით იმეორებდნენ, თავისებურად აფერადებდნენ კაცის სიტყვებსა... თითქო უფსკრულნი ხარხარით, კლდენი ღრიალით და შრიალითა-აყრილნი ტყენი, ბანს უგრძელებდნენ, ურთავდნენ ადამიანის უცნაურ ხმებსა...

მთის ფერდობზედა თითქო ცხვრის ფარაც მწვანე ბალახზედ გამოსულიყო, ფრინველთ ქიკიკი, არწივთა ყფა მზისა ამოსვლას ეგებებოდა... და მთის სურათნი, როგორც მხატვარის პალიტრაზედა შეაფიოდ კრთოდნენ და იცინოდნენ...

ერთის ნიჭიერის 30 წლის იუბილეზედ თითქო ნიჭნი მთელის ერისა და ბუნებისა შეკრებილიყვნენ, რომ ღირსეულად შეემკოთ გვირგვინი მისი... და აქ უფრო აშკარად გამოჩნდა, რომ ნიჭი, ორიგინალობა ჩვენი ერისთვის ბუნებას არ დაუშურებია, ოღონდ... გაწვრთნა და სწავლა, შეგნება და დაულაღვი მუშაობის სიყვარულია საჭირო, რომ ავმაღლდეთ სხვა ერთა სიმალლეზედა.

განა ნიჭით სავსენი არ იყვნენ ლექსებიც გრიშაშვილისა, ქუჩიშვილისა, რომელნიც მათ უძღვნეს საყვარელ იუბილიარს... მაგრამ მარტო ნიჭი არ კმარა და რა შეუძლიან კარგ შრომას ცდიდარ ნიჭთან—ამის მაჩვენებელი იყო თვით იუბილიარი, რომლის წინაშე არა მარტო ქართველი ერი, არამედ ჩვენი მეზობლებიც ქედს იხრადნენ და ულოცავდნენ დღესასწაულს. უკრაინელებმა რუსებმა, სპარსელებმა და სომხებმა და თვით ასირიელებმაც კი გამოგზავნეს თავისი წარმომადგენელნი ნიჭიერ მსახიობის პატივსაცემად.

„ბევრი დაფნა და ვაშა მიძილია ჩემს მოღვაწეობაში, ბევრს გვირგვინს ვღირსებივარ, სთქვა მოკლე და თვალცრემლიანი სიტყვა ზეიმის ბატონმა, — მაგრამ უკეთესი, რომელსაც ვეღირსე—ეს ჩემი შეგირდები არიან, რომელთაც საჩუქრად მიუძღვნი ჩემს ერსა“...

ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო, მაგრამ მამული იმასაც სათაყვანებლად გაიხდის, ვინც ლაღოს დაედარება.

რადე.

ქართველი სოციალ-დემოკრატიის კრიზისი

ექვი არ არის ქართველი სოციალდემოკრატია დიდ შინაგან კრიზისს განიცდის. ამ ჟამად ჩვენ არ გვაინტერესებს ის კრიზისი, რომელსაც განიცდის საზოგადოთ ორტოდოქსალური მარქსიზმი. ჩვენ გვაინტერესებს ის ცვლილებანი, რომელნიც ხდებიან მათ ბანაკში ეროვნულ ნიადაგზედ. აღარავისთვის დაფარული არ არის რომ ბევრმა მოწინავე წევრმა ზურგი უბრუნა სისტემატიურ ეროვნულ ინდიფერენტის და საჭიროდ განაცხადა თავისი ახალი მრწამსი, მაგრამ ისინი იმ წამსვე მწვალებლებად იქმნენ გამოცხადებულნი და ამით ერთ ხნობით

დაცულ იქმნა პარტიის „ნამუსი“. მაგრამ, როგორც ეტყობა, ჭია მაინც ღრღნის პარტიის გულღვიძლს და მთელი მისი შემდეგი პრესა კი იმის აშკარა მაჩვენებელია, რომ ეროვნულ საკითხის გადათვალთვლება საჭიროა არა მარტო კერძო პირთა პატრიოტიზმის დასაკმაყოფილებლად, არამედ ამას მოითხოვს თვით პარტიის სასიცოცხლო ინტერესები.

ოცნება „ძველ დასელებისა“ ოცნებათვე დარჩა და საქართველო ისე მალე არ იქცა კაპიტალისტურ ქვეყანად როგორც მათ უნდოდათ. მათ მიადწიეს მხოლოდ ერთს რამეს, ქართველი ხალხი კავკასიის სათავეში დადგა და ყველას ის უკარნახებდა იდეებს, მაგრამ ის ფაქტი, რომ ლანჩხუთი აძლევდა დირექტივებს ბაქოს, მხოლოდ პატრიოტულ თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად თუ კმარა და ამ აზრმა ნაკლებ არ გაიტაცა ქართველი სოციალ დემოკრატია. ამ მხრივ ისინი, ცხადია, გაცილებით უფრო შოვინისტები იყვნენ, ვიდრე სხვა ვინმე საქართველოში, მაგრამ ეს ბატონობაც არ გამოდგა ხნიერი. თანამედროვე რუსეთის ცხოვრება ეხლა გაცილებით უფრო ნაკლებადაა აქტიური, ვიდრე მოძრაობამდე და ეს ყველაზედ მეტად ქართველ სოციალდემოკრატებს დაეტყოთ. და ექვი არ არის, ასეთ ყოფაში იბადება მათთვის საკითხი: რა შეაერთებს მათ ისევ ხალხთან?

განა შეიცვალა ის პროგრამმა, რომელიც ასე იტაცებდა ხალხს? გვეტყვიან ჩვენ. და საქმეც ის არის, რომ თუ პროგრამმა არ შეიცვალა, ხალხს ისინი ვეღარ გაიტაცებენ. და რომ ამას კარგად გრძნობენ, ეს იქიდან სჩანს, რომ მათ აზროვნებაში ბევრი რამ შეიცვალა. ვინც იცნობს მათ წარსულ მოქმედებას და ვინც თვალყურს ადევნებს მათ ახლანდელ პრესას, ის უსათუოდ შეამჩნევს დიდს განსხვავებას. ნაციონალისტური მოტივები თანდათან მედგრად ისმის მათ პრესაში; ეს კი უბრალო პატრიოტიზმით არ არის გამოწვეული. ეს არის ნაყოფი ღრმა კრიზისისა.

ის ძაფები, რომლებიც აერთებდნენ მას ქართველ ხალხთან თანდათან სწყდებიან, ზოგი ისტორიულად, ზოგი უვარგისობისა გამო. საჭიროა ახალი შემაერთებელი ძაფები და ფრიად საინტერესოა—რანაირ ბაწარს დაგრებს ქართველი ს.-დემოკრატია?

ის კრიზისი, რომელსაც იგი განიცდის, უბრალო პროგრამულ ხასიათისა არ არის და მისი განხილვა ინტერესს არ არის მოკლებული. ძნელია

ამის განხილვა უბრალო წერილში, მაგრამ ამ კრიზისის უმთავრეს ფაქტებზედ მითითება კი შეიძლება. ჩვენ ზევით ვთქვით, რომ ძაფები, რომლებიც აერთებდნენ მას ხალხთან, დასწყდნენ, ზოგი ისტორიულად და ზოგი უვარგისობის გამო და ეს ფაქტია. აღარ არსებობს სოციალიზმი, რომელიც „ერთობის“ სახელით მართლა იტაცებდა ხალხს. მაშასადამე პროგრამმა მაქსიმუმი დამარხულია. ასეთივე ბედი ეწია პროგრამმა მინიმუმს; შვიდი წელი წაღია, რაც რუსეთის პარლამენტი არსებობს და ამ ხნის განმავლობაში რუსეთის პარლამენტს არც ერთი პარტიისთვის არაფერი გაუკეთებია რა და მხოლოდ ირონიად უნდა ჩაითვალოს, რომ ყველაზედ მეტი სურვილი რუსეთის პარლამენტმა ქართველ სოციალ დემოკრატებს შეუსრულა: ოც დეკემბრის კანონით რუსეთის კანონმდებლობამ მათი პროგრამიდან სამუდამოდ გამორიცხა დროებით ვალდებულობის საკითხი, დროებით ვალდებულ გლახთა განთავისუფლებით. და ეს ფაქტი ისტორიულად სწყვეტს ერთ იმ ძაფთაგანს, რომლითაც ის იყო გადაბმული ხალხთან. რასაკვირველია, ეს „თავისუფლება“ სოციალდემოკრატიის განსაკუთრებულ ღვაწლს არ მიეწერება. ვინც იცის კავკასიის უმაღლეს მთავრობის აზრი ამ საკითხის შესახებ, ის ადვილად მიხვდება, რად გაატარა ეს კანონ-პროექტი საჩქაროთ საბჭომ და მერე ისე, რომ კავკასიის მაღალ-წოდების აზრს ანგარიშიც არ გაუწია. უმაღლესად გაგზავნილ მოხსენებებში არა ერთხელ ყოფილა აღნუსხული ის მიზეზები, თუ რად ემხრობოდა ქართველი გლახკაცობა ს. დემოკრატებს, მიზეზი იყო სწორედ ეს დროებითი ვალდებულობა ჩვენის გლახკაცობისა. ეს იგრძნო მთავრობამ მაშინ, როცა გლახკაცობა სოციალდემოკრატებს მისდევდა და ამას იგრძნობს ს. დემოკრატია შემდეგში, როცა იგივე გლახკაცობა ისე ადვილად აღარ გაწყდება მას. მთავრობას სურდა ქართველ სოციალდემოკრატების დამარცხება და ამ დამარცხებაში ერთი „გამარჯვება“ მისცა. და ეს გარემოება ჰქმნის მათთვის დიდ კრიზისს.

ვიდრე არსებობს ხიზანთა საკითხი, სოციალ დემოკრატებს კიდევ ეყოლებათ ხალხი, რომელიც გვერდში ამოუდგება. მაგრამ მარტო ხიზნებზედ დაყრდნობა მათ ბევრს არას უქადის. ახირებული აგებულობა ხიზანთა ინსტიტუტისა თუმცა დიდხანს ეყოფათ „ჟუპელად“, რადგან კანონმდებლობა ისე ადვილად ვერ გადასწყვეტს ამ საკითხს, როგორც დროებით ვალდებულობას, მაგრამ ის გარემოება

რომ ხიზანთა საკითხი ქართველ გლახთა საკითხი არ არის და იგი განსაკუთრებით ერთი მხრით ქართველ მემამულეებს შეეხება, მეორე მხრით განსაკუთრებით ოსის გლახობას, სხვა ელემენტს აქცევს ამ საკითხს. ამ საკითხში მას დასჭირდება ფრთხილი მოკმედება და წინააღმდეგობაც ისეთი სუსტი არ იქმნება მემამულეების მხრივ, როგორც დროებით ვალდებულობის საკითხში. ერთი სიტყვით ხიზანთა საკითხი ქართველ გლახთა საკითხი არ არის და არც ქართველი ს.-დემოკრატია მოისურვებს ამ საკითხში მარტო ოსურ სახალხო პარტიად დარჩეს.

და ეს მეორე საკითხი უფრო აღრმავებს მათს კრიზისს.

ცხადია, მათ შეუძლიანთ მიმართონთ თავიანთ პროგრამის სხვა პუნქტებს და ეს პუნქტები კი მათ პროგრამაში ცოტანი არ არიან, მაგრამ ბევრი მათგანი წინდაწინვე უნაყოფოდ არიან განწირულნი. არას ვიტყვით თვით სოციალიზმზედ, რომელიც დავიწყებულია, როგორც ძველი ოცნება, თვით ისეთი პუნქტიც კი მათის პროგრამისა, როგორც მუშათა კანონმდებლობაა, არ გამოადგებათ იმ ხიდად, რომელიც შეაერთებს მათ მასასთან; კაპიტალისტური პირობანი საქართველოსი ამის ნუგეშს არ იძლევიან. ყველა აქედან სჩანს, რომ საჭიროა ახალი ძაფები, რომელიც მას დაუხლოვებენ ხალხს. ამ ძაფებად კი უმაღლეს წეს-რიგის პოლიტიკა არ გამოადგება. არც სოციალიზმი, არც სხვა რამ ამგვარის ქადაგება — ხალხს გულს ვერ გაუთბობს. დეკემბრის კანონი ჩვენ გლახკაცობას კერძო საკუთრების პრინციპს მხოლოდ შეაყვარებს და ქართველი სოციალ-დემოკრატიაც იმ ფაქირად იგრძნობს თავს, რომელიმაც ისეთი სული გამოიწვია ჯურღმულიდან, რომლის მოვლაც მის თილისმას აღემატება. და შეიძლება პირველად აქ გასცეს მან თავის თავს პასუხი იმ კითხვაზედ, რომელიც დაუყენა მას ცხოვრებამ. არის თუ არა ეროვნული საკითხი ის საკითხი, რომელიც კიდევ მიანიჭებს მას ხალხთან კავშირს?

ჩვენ გვგონია ამისთანა საკითხი უკვე სდგას მის წინაშე და თანამედროვე ქართველ ს.-დემოკრატიაში საგრძნობი ცვლილება მოხდა. თუ ყველაფერი ჯერ აშკარა არ არის ჩვენთვის, მხოლოდ იმიტომ რომ ეროვნულ საკითხში ყველა საზოგადოებრივი ჯგუფები ისე ახლო მიუდგნენ ერთმანეთს, როცა ძნელია ერთმანეთის გარჩევა.

ა რ ე ი

ციცაბოზედა იღვა არყის ხე
და ძირს ტყიან მთებს გადაჰყურებდა,
დაბლა კი ხევი—მთების სიმკვირცხლე—
მირბოდა, ტალღებს მიაშურებდა.

არყი სიამით ეგებებოდა
მზისა ამოსვლას და ისევ ჩასვლას,
შრიალით ქებას ეუბნებოდა
ქვეყნის სიტუროფეთ: მზეს, მთვარეს, ვარსკვლავს.

ცანი მის თავსა ღიმილს აფრქვევდნენ,
მისთვის გვირგვინი დაედგა ბედსა,
არენიც ნატვრით შეჰლალანებდნენ,
როგორც სვე -- ნეტარს და როგორც ღმერთსა.

მაგრამა წარღვნით იქექა ზეცამ,
აზვირთდა, აღსდგა პატარა არხი
და ბრახმორეულ ტალღათა კვნესამ
ჩამოაცალა ციცაბოს არყი.

ეხლა ის არყი ერთს ღიღს მინდორში
გარიყულია ქვა-ღრესთან ერთად,
აღარ შრიალებს მაღალ მთა-გორში,
აღარ ითვლება იმ ქვეყნის ღმერთად.

ი. მკედლიშვილი.

შინა მრეწველობის აგონია ჩვენში

(მცირე ნაკვლევი სოფელ ლანჩხუთში)

I.

შ ე ს ა ვ ა ლ ი.

ეგულა მოვლენა მხოლოდ მაშინ დაფასდება სთანადოთ, მხოლოდ მაშინ გადაგვეშლება მოვლი თავის სიკრძე-სიგანით, როდესაც მას ემპირიულად შეგვხვებით, როდესაც თვით სინამდვილეში ვნახავთ და გავსინჯავთ მის მდგომარეობას.

ყოველგვარ განუებებულ და ჰიპოთეტიურ დებულებაზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზე, როდესაც შინა მრეწველობის ზოგიერთ დარგებს თვით ცხოვრებაში მოგვიდებთ ხელსა, როდესაც მის მდგომარეობას ხელ-შეხებით ეცნობა ადამიანი. და წინ და წინვე უნდა ვადიაროთ: ხსენებულ მოვლენის ადღოს არ-თმუვამ ჩვენში აზრთა საშინელი აფორიაქება გამოიწვია,

მოვლენის მდგომარეობამ ჩვენს არსებაში მრავალი პრობლემა შექქა და აშკარად დაგვანახა ის აკადემიკოსობა, ის სენი, რომლისაც აგრე დახვავებულად უძღვრებულა სხეული ჩვე'ი ერისა.

გაკება იმისა თუ რა ძალას ჩაუყენებთ ჩვენი ხალხის მრეწველობის დარგები საშინელ მდგომარეობაში, გაკება ჩვენი მწარმოებელ ძალთა დაკნინებისა — გაკება მთელი ერაზნული სხეულის დაკნინების მიზნებისა, რასაც ჩვენ ქვემოდ განვიხილავთ, ახლა კი შევჩერდეთ იმაზე, თუ რას წარმოადგენს დღეს ჩვენში შინა-მრეწველობა, განვიხილოთ რას წარმოადგენდა ის წარსულში და შემდეგ მოვინახოთ დამყარებულ მდგომარეობას მიზნები.

როდესაც მოვლენა ხდება სოფ. შემეცნების საფუძვლად, აუცილებლად ეს მოვლენა საზოგადოებრივი ხასიათისა უნდა იყოს, ესე იგი ის უნდა ახასიათებდეს საზოგადო მდგომარეობას, იგი ტიპიურ ძალას უნდა წარმოადგენდეს. ამ თვალ-საზრისით, სპეციალისტმა შეიძლება იჭვი შეიტანოს იმ სოფელზე, რომელიც ჩვენი კვლევა-ძიების საგანი იყო.*) სოფელ ლანჩხუთის გამოკვლევა ხომ უფარგისია სოციოლოგიურ დასკვნების მისაღებად. მაგრამ ეს შენიშვნა უფლად უსამართლო იქნება, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამ სოფლის გამოკვლევის დროს, შინა მრეწველობის მხრივ ჩვენ გვაინტერესებდა აგრეთვე საკითხი: რამდენად ძლიერი იყო ამ მიდამოებში მრეწველობა წინად, რომ აქედან დღევანდელ მდგომარეობას დაუახლოვებოდით. და როდესაც აკეთ კითხვებით უფელ მოსაქმე-მრეწველს უახლოვდებოდით, თითქმის ყველა მომუშავე ერთ და იმავე ზასუხს გვამოკვდა: „წინად ყველა ასე მუშაობდა“. და განა მრეწველის ეს შენიშვნა — რომელიც გამომდინარეობს არა წინასწარ გონივრულ მომხადებით, არამედ პრაქტიკულ ცხოვრებიდან — მართლა არ ნუსხავს სინამდვილეს? ისტორიის აუარებელი ფაქტები ხომ იმას აშკარად გვიმტკიცებს, რომ ჩვენი ცხოვრების 50—100 წლის წინად და კიდევ უფრო შორეულში ჩვენი ხალხი ეფუფეგვარ მოთხოვნილებას თავისივე ძლით იკმაყოფილებდა. ივენენ მუურნენი, ივენენ მრეწველნი, ხელოსანნი და სხვები, რომელნიც ცხოვრების სხვა და სხვა მოთხოვნილებას აკმაყოფილებდნენ. ზოგიერთნი, თანამედროვე ცხოვრებით უკმაყოფილონი კი ზირდაზირ საუკუედურით ჩიოდნენ: „წინად ეს მუშაობა (იკულისხმება შინა მრეწველობა) ძლიერ სასარ-

*) უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი განზრახვა იყო კვლევის საგანი ფართე რაიონი ყოფილიყო. გვსურდა, მაგ. რატაში თნის რაიონი გამოგვეკვლია და აგრეთვე ოდიშის ზოგიერთი სოფელი სამწუხაროდ, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზნების გამო, იძულებული გავხდით კვლევა-ძიებაში მხოლოდ გურიის ხსენებულ სოფელით დაგვამყოფილებულიყავით.

გებლთ იყო, ხოლო დღეს კი შრომასაც არ ამართლებსო“. ერთმა მრეწველმა დედაკაცმა, რომელიც ერთიანად ძველ ცხოვრებას ეგუთვნის და ახალ სწავლა-განათლების არაფერი ესმის, შენნიერულ სისწორით დაგვისახელა მაზრები შინა მრეწველობის დაკინებისა, რა თქმა უნდა ინსტიტუტურად: „დექნებმა და მაღაზიებში დაგვაქციათ“.

საზოგადოთ, დღევანდელ შინა მრეწველობას რაკი ნიადაგი გამოსცდის სოფელში და ის „შრომასაც აღარ ამართლებს“, რა თქმა უნდა, აბუნად ასაგდები ხდება. და მართლაც სოფლის ახალგაზრდობა, რომელიც შრომას და ცხოვრებას კაცილებით შეტის სოხავს, ვინემ „ურუ“ დედაბრები, კიდევაც დასცინის შინა მრეწველობის შესუეურთ. ქაღალტონ ელისაბედ ურუშაძისას რომ შევეკათხუთ, თუ ვინ ეგულება სხვაგან შალის, აბრეშუმის, ტილთის, ჭილთის და სხ. ასეთების შესაფულ-შეკრავნი ახალგაზრდა ვაჟებსა და ქალებში, სიტყვა-სიტყვით გვიხსნება: „შალ-აბრეშუმის შესაფულეები ახალგაზრდობა არ არიან — რომ დაინახავენ ისინი ჩვენს მუშაობას — დაგვეცინიანო“. რა თქმა უნდა ჩვენი სოფლის ახალგაზრდები მარტო იმითომ არ დასცინიან მოხუც მწარმოებელთ, რომ მათი შრომა ფრად უხეოფო და უსარგებლოა, ამ ახალგაზრდებს შეგნების მხრივ ბევრი რამ აკლიათ, მაგრამ დღევანდელ ხანაში რომ შინა მრეწველობა სასარგებლო ძალას წარმოადგენდეს, მაშინ მთელი საზოგადოებაც გულთბილად მოეკიდებოდა მას და დასაძინავი აღარაფერი იქნებოდა. ავი წინად, როცა შინა მრეწველობას დიდი ნიადაგი ჰქონდა და ხალხისთვის ძლიერ სასარგებლო იყო, ახალგაზრდობა მოხუცთა შრომას ინაწილებდა, როგორც ეს დღესაა მაგ., რუსეთის ბევრს ეუთხეში.

საერთოდ, როგორც იუაქტი, აღსანიშნავი დაგვარჩა, რომ სოფელ ღანხხუთში ძლიერ ხშირად ამზადებდნენ ხამს (ბაშიდან), შალს, აბრეშუმს, ქსოვდნენ ჭილასს, ქუდებს, წინდებს, ღარაიას მრავალ ნაწარმოებს. ადგილობრივი მოთხოვნილება უმთავრესად ადგილობრივ კმაყოფილდებოდა. უცხოეთის შალა, ტილო, ჩითი, აბრეშუმი და სხ. იმუათა მოფლენა იყო, არ არსებობდა სავაჭრო მაღაზიები, რკინის გზა, მისივლა-მოსვლა საშაშარი, მკუძლებელი იყო. სწავლა-განათლება და საზოგადო კულტურა ხომ მხოლოდ მეოთხმოდვე წლებიდან იკიდებს ფეხსა.

ამავე დროს, სოფ. ღანხხუთში, როდესაც სამტრედიის-ბათუმის რკინის გზა გაიუვანეს და თანდათან დაბა გაშენდა, მოეწყო მაღაზიები და სხვა უოველგვარი სავაჭრო დაწესებულება, გაიუვანეს ტელეგრაფი, დაარსეს ფოსტა, სასამართლო, საშემართველო, სასწავლებლები,

ბანკი, ე. ი. როცა ცხოვრება გართულდა და ხალხი გამრავლდა, ამოძრავდა, და ეს დაბა გადაიქცა მთელ საზოგადოთ უბნის, ცხრა ახლო-მახლო საზოგადოებათა/შუაგულად, სადაც უოველგვარი შინა მრეწველობის უოფოთი ბაზარზე გამოქცინდათ. მთავარი საქმე მრეწველობისა — შალი და აბრეშუმი იყო. თავისიურავსა და ფეხსაცმელებსაც ხომ უმეტესად შინვე ამზადებდნენ, ცდი-ცდილათი წლის წინად ხალხის მეტი ნაწილი ქაღალტონს ატარებდა. აგრეთვე ავჯახის უოველივე საჭირთ სავნებსაც შინ აკეთებდნენ და შინ ნაწარმოები გამოქცინდათ ბაზარში. ქოთანბი, კეცი, ქვევრი, ფილი, კოვზი, — უოველივე სხვა ასეთები შინა მრეწველობის ნაყოფი იყო.

ბაზარში გარედან მხოლოდ ის შემოქცინდათ რაც შეზობლებში უფრო უკეთესად იყო დამზადებული; მაგალითად, რაჭიდან და სამეგრელოდან ბლომად შემოქცინდათ შალები, რაკი ხალხი უფრო სუფთასა და ღამაზ-იფო საქონელს ეტახებოდა, და ონის და მეგრული შალი სჯობდა ამ მხრივ. ღანხხუთის ბაზარზედაც განხდნენ ისეთი დალალები, ეგრედ წოდებული „სკუპიჩიკი“-ები, რომელნიც უოველ იმ საზოგადოებაში ჩნდებიან, სადაც ხალხის მოთხოვნილება გაზრდილა და კემოვნებას განვიოთარება დასტუებთა. ღანხხუთში უოველ ახალგაზრდას ახსრავს მაგალითად „შათათა ურია“-ს მუშაობა რომელიც იმაში გამოიხატებოდა, რომ ქუთაისიდან ჩამოქცინდა ონის და ოდიშის შალები და დუქნების წინ, ან საბაზრო ადგილას „შარასკეობაზე“ ჰყიდდა. და ეს შათათა ურია — როგორც გადმოგვეცეს, დიდ ვაჭრობას ეწეოდა ამ დარგში, საქონელს ბლომად ასალებდა და ერთიანად ჩნდალაგდა ჯერ კიდევ მცირედათ შემოტანილ განიერ რუსულ შალებს, მაულებს, რომლებსაც მცხოვრებნი ჯერ არ იუვნენ შეჩვეულნი. ასე რომ ღანხხუთის ბაზარი — ხამდვილი ბარამეტრი იყო თვით იმ საშინაო სამრეწველო ცენტრების, რომელნიც ნაწარმოებს ბლომად ამზადებდნენ.

სხვა შინა მრეწველობის საგნებზე დალალობა-ვაჭრობა (სკუპიჩიკი) არ იყო განვითარებული. ახლო-მახლო სოფლებებს ურშიოთა და ზურგით ჩამოქცინდათ სხვა და სხვა თავისი ნაწარმოები, რასაც შარასკეობაზე რამდენადმე ასალებდნენ. მაგრამ უოველივე ესა თან და თან ვლებულობდა, ხალხის შემოსავლის ერთი წყარო იღეოდა და ცხოვრება სხვა ძალას ანვიოთარებდა...

ცხოვრების განვითარება შირველ უოფლისა იმაში გამოიხატა, რომ ხალხის შრომას ახმარები გაეხსნა. შრომაში დახელთვნება, ან უკეთ, სპეციალიზაცია აუტალებელი განდა. რკინის გზით სოფლად ევრობის განვითარებული სამრეწველო ცენტრების ნაწარმოებნი შემოიტანეს და სოფლებს ეუბნებოდნენ: შეჩერდით, და-

ფიქრით, გააკეთეთ ის, რაც ხეირს მოგცემთ, თორემ შალის ქსოვა ან ქოთანის კეთება ქარხანა-ფაბრიკაში უფრო ადვილია, მე გაცილებით იაფად მოგაწოდებ უფლებ-გვარ სამრეწველო შრომის ნაყოფსა. და მართლაც რა ჯანი ჰქონდათ, შინა მრეწველებს უნდა ქედი მოეხარათ მექარხნეთა ამ ბრძანების წინაშე. შრომის მხლელად მაშინა აქვს მნიშვნელობა, როცა იგი სარგებელს იძლევა. შინა მრეწველობა იქ, სადა მანქანა იმავე საქონელს გაცილებით იაფად აწვდის ხალხს, პირდაპირ შეუძლებელია და აი ჩვენ ვხედავთ რომ სოფელ ლანჩხუთიდან ხელნელა ქრება შათათა ურიების ხსენება, ხალხს სულ ნაკლებად შემთავსებს შალი, აბრეშუმი, დარაია, ქუდები, ქოთანები, კეცი, კაფუები, გობი და სხვა ამ გვარები.

თქვენ არ იფიქროთ, რომ პირველ-ყოფილ მუშაობას ნიადაგი გამოეცალა, ცხოვრება განვითარდა და ჩვენშიც ტექნიკამ ააფრიალა გამარჯვების დროშა, რითაც ლუკმა წაერთვა მრავლისაგან მრავალ სოფლებს; არა, ჩვენ მთელ სოფ. ლანჩხუთის მიდამოებში ერთი ქარხანა ვერ ვხსნით (თუმცა ეს ისედაც ვცნობდით), ს-დაც გაუმჯობესებულ მანქანებით მზადდებოდეს სხვა და სხვა ტურქლეულაობა, შალ-აბრეშუმეულაობა და სხ. თუმცა ხალხი ახლა გაცილებით მეტ საქონელს ხმარობს, ვინემ ძველად ხმარობდა.

უფრო მეტხვევებაში ჩვენ გვიანტერესებდა თავთ გაგნობადით იმ იარაღებს, რომელნიც აქა-იქ მაინც მოდიოდნენ მოძრაობაში, რათა აშკარად და ნათლად წარმოგვედგინა, თუ რამდენად დაკნინებულია და გარიყულა ფორმის ძველი მრეწველობისა. ამ მიზნით საქმეს შეუდექით.

შემდგომის საამო ცასკარი იყო მოწმე ჩვენი მუშაობისა. საამო დილა და სურნელოვანი ბუნება ხალხს გვმატებდა. დილის ცისკარზე მუშაობის დაწყება ათქმის აუცილებელი იყო, ამ დროს უფლები სოფლის მუშა უკვე მზადაა და იწყებს მუშაობას, მთელი ენერჯია და სიყვარული საქმისადმი სწორედ დილის პირზე ახატება. ამ დროს მუშა ხალხისაინა და იმედიაინი. სამწუხაროდ, საიმედო და საამო ჩვენ ვერაფერი ვხსნით.

გაუვლით სოფელში იმ დროს, როცა უკვლავ თავის სამუშაოზე ებრუნებოდა. სულ რამდენიმე წუთი ვიარეთ, რომ ერთ მოსახლეს ვესტუმრეთ. ეზოში გამოჩნდა მოხუცი დედაკაცი და ზაწის ბადლები. უცხო და მოულოდნელმა სტუმრობამ გააკვირვა მასპინძელი. მალე ჩვენი მისვლის მიზანიც გამოირკვა.

ქალბატონო, კახეთ და გვიანსკელით მამაკაცი ან ქალები მომუშავენი და მრეწველნი რომელიმე სამრეწველო დარგში. პირველადვე აშკარა გახდა, რომ ეს დედა-კაცი მწერადად იყო სამრეწველო შრომისთან და როცა

შევეკითხეთ თუ რითი ატარებს ისა და მისი მრავალი ქალები თავის დროსა—შეუბრუნეთ, რომ მათი შრომა მეტად მცირე დროსა თხოულობს და უმნიშვნელო რა-შეკბსედ იხარჯება. დანადგლიანებულა მრეწველი სურათით. მაგრამ ახლა უფრო გამოირკვა ჩვენი მიზანი და პირდაპირ მრეწველ ქალის ბინას მივადექით.

ეს იყო ძლიერ ღარიბი მოსახლეობა. შვილები გაჭვროდნენ მშობლებს და სახლში მხოლოდ მოხუცი ცოლ-ქმარი ეწეოდა ცხოვრების მძიმე ჭანას. დიდი სიამოვნებით მიგვიდეს მოხუცებმა. უფრო ჩვენ კითხვას გულისუფრით უსმენდნენ და მას შემდეგ როცა გვითხა: „დედაძვიდობას გაფიცებ არ დამა-შალო, აქ საბაყო ხომ არაფერიაო“ და რავი დარწმუნდა, რომ აქ უმთავრესი ინტერესი საზოგადო ცხოვრების კვლევა-ძიებაა და არა მთავრობის ფისკალური ინტერესები—ქალბატონმა შეისვე გაშალა შუბლი და დაწვრილებით მოგვიყვანა უფლებივეს. ფრიად საინტერესო ჩვენთვის ის იყო, რომ მშრომელ დედაკაცს უკვე გამოწეობილი ჰქონდა კაი ხნის უმუშევრობის შემდეგ ერთი საგანგებოდ შეგვეთილი სახალუხე აბრეშუმის ქსოვილი, რომელიც წინ გადაგვიძალა.

პირველ უფლისა ჩვენთვის საუურადღებო იყო ის საწარმოვო იარაღები, რომლითაც მუშაობდნენ შინა მრეწველობის მიმდევარნი. საწარმოვო იარაღები უფლებგვარ მუშაობა — მუშაობას აშკარად ახასიათებენ და ხსნიან და ამიტომ ჩვენ დაბეჭდებით ვსთხოვდით: — კახეთ უფლებივე თქვენს სამუშაო იარაღი გვანახვით, მოგვიტოვოთ და აგვიხსნათ. და მამაკაცმა, რომელიც ჭერ კიდევ არ გასცლდა ოჯახს — თავის დაბალ სახლის წინ მოაგროვა რაღაც ხის ნაჭრები ერთი მეორეზე მიკოწი-წებული, უფლებად პრიმიტიული და ს-და. სახანაობამ მეტად გაგვანცვიფრა და დაგვაფიქრიახა. ასეთი სამუშაო იარაღები მეტეც სურეუნიში, იმ დროს და ისეთ ადამს, რომლის გვერდში მთელ დედამწის ზურგის დამსერავ-შემაერთებელი რკინის გზის ძალები მუშაობდნენ—მართლაც რომ საკვირველი იყო. ქუჩაში რომ გვეხსნა ეს იარაღები უურადღებასაც არავინ მიაქცევდა ან ნუხს გაყო-ლებდა; ეს მშრომელინი კი მათ უფლიან და ინახავენ! აკეთ სწარმოვო იარაღებით მუშაობა ჩვენ აშკარად გვი-ხსნის თუ რაოდენად დაწიყებულ-დაუძლურებულ იყოფი-ლა ერთხელ ძლიერი და გავრცელებული მრეწველობა ჩვენში, თუ რაოდენად გაჭირვებულ უოფაში ყოფილა ხალხი, როცა ასეთ პირობებშიაც კი შესაძლებლად და სახეიროდა ხდის მუშაობას. თუნდაც იშვიათისა.

ჩვენი თხოვნით ქალბატონმა ფ. ურუშაძისამ საწარ-მოვო იარაღები თავის შემდგენელ ნაწილებად დახანწილა. საძირკველს, რომელზედაც უნდა დაიდგას სხვა ნაწილები

იარაღისა — ეწოდება საქსრე კეისრის ქ-ის ურუშადისა. შემდეგ იმანვე გადმოაღება დანარჩენი მასალები: ლილივი, ჭრილი, დვიმი და სავარცხელი. დვიმში გაურილია დამზადებული დართული ძაფები. ამ იარაღებით მახუცი შწამრობელი — რომელსაც უკვე შესრულებია სიმონდარვა წელიწადი — ქსოვს, როგორც აბრეშუმს ისე შალს. ამ უამად უმთავრესად აბრეშუმს ქსოვს, ხალხ იშვიათია რომ ვინმე შალი შეუკვეთოს. აღმოჩნდა, რომ სოფელ ღახჩხუთში შინა მრეწველობა — რომელიც ერთიანად სულს დათავს მხოლოდ აბრეშუმის წარმოებასა და დამუშავებას — თუმცა ამასაც იშვიათი ხასიათი აქვს. სურათოდ შინაური მრეწველობა საშინლად დატყვევდა და შწამრობელი ძაღა :მ დარგში ვერ ვითარდება. ხსენებულ შინაობებში ვერც განვითარდება. ხალხ არსებული აბრეშუმის ქსოვა აქა-იქ აიხსნება იმით, რომ ამ მიდამოში მკაბრეშუმობას დიდი ალაგი აქვს. მკაბრეშუმობის ერთ შინს რომ მორჩებიან, მკაბრეშუმენა შინაურულ თესლს ეგრედ წოდებულ „ორიანას“ მიმართავენ, რომელიც ზარკად საზღვარ-გარედ არ გააქვთ. ან ეს ზარკი ხდება იმ მასალად, საიდანაც ქსოვენ დარაიას და იგი გააქვთ ბაზარშიც. ეს დარაია რომ ქარხნის საწარმოებს შეადაროთ შირკელის მოუხეშობა აშკარა გაგიხდებათ, თუმცა ზოგიერთი დახელაფებულნი მქსოველი ისეთი შნითი და სასუფთაყოფი ასრულებს შეკვეთულ საქმეს, რომ შინდაზირ კაცდებით. მაგრამ აგრე სავანებოდ შექმნილი საწარმოები დიდ ჯაფასა და მრამას მოათხავს, რაიცა საქანელზე ფასს ადიდებს და ამიტომ მისი გასაღებაც ძნელია.

თევდ. ლლონტი.

(შემდეგი იქნება.)

შ რ უ ლ ი

ინგლისი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში სისტემატიურად აწარმოებდა სასტიკ პოლიტიკას ირლანდიაში, რომ მოესპო ყოველგვარი ეროვნული განსხვავება ირლანდიელთა და ინგლისელთ შორის. ამისათვის არ ერიდებოდა ბევრჯელ არც უწყალოდ ამოქოვტას და გადაბუგვას, არც მიწის გამოცლას, არც ძალიად გაბოგანოვებას ადგილობრივ მცხოვრებთა. ყოველ ამგვარ ძალიას და ხერხს გვერდში უყენებდა აგრეთვე კოლონიზაციას, ე. ი. გაფცქვნილ და ირლანდიელთაგან განთავისუფლებულ მიწაზედ ასახლებდა ინგლისელთ, რომ თავისი ზეგავლენით „ინოროდცებიც“ ინგლისის მასაში აე-

თქვიფათ. მაგრამ საუკუნეებმა დაამტკიცეს ინგლისში აც ისე, როგორც ყოველგან სხვა ადგილს, რომ უხეში ძალი არამთუ არ აღწევს საწარმო, პიოიქით ჰბადებს ისეთ ავადმყოფურ ეროვნულ უცხოობას თავის დასაცავად, რომ ბევრჯელ უფრო დაძალებელს საფრთხედ და საბედისწეროდ გადაექცევა ხოლმე.

ინგლისის და ირლანდიის დამოკიდებულება ამ მხრივ პირდაპირ სანიმუშო მოვლენაა: რაც მეტად ავიწროვებდა მთავრობა, მით უმეტეს სიძლიერით აღვიძებდა ეროვნულ გრძნობებს და ჰბადებდა შეუროგებელ, მძაფრ სიძულვილს ინგლისისადმი. ამას გარდა, ის შევიწროვებანი, რომლითაც ჰბორკავდნენ ირლანდიელებს, თვით იმ კოლონისტებისათვის იყო ხოლმე მავნე, რომელთათვისაც ამას სჩადიოდა ინგლისი, გალატაკებულ, გაცარცულ ქვეყანაში, რაც უნდა დიდი მამული ჰქონოდათ ინგლისელ მებატონეთ ისინი თავის ნამუშევარს ვერავიზედ ასაღებდნენ; ღარიბი, სიკვდილის პირს მიტანებული მშიერი ირლანდიელი ვერ შეიძენდა იმ მოსავალს, რომელსაც ღონიერი და პროტექტორატის ქვეშ მყოფი ინგლისელი მოიყვანდა.

ასეთი „პროტექტორატი“ თვით კოლონისტებისათვის არ იყო სასარგებლო და ისინი ძალაუნებურად თვითონვე უნდა ცდილიყვნენ ირლანდიელების მოლონიერებაზედ და თუმცა კანონი წათ უკრძალავდა, მაგ., ირლანდიელებზე მიწის იჯარით გაცემას, — მათივე ინტერესი მოითხოვდა ამ კანონის დარღვევას.

პირველ წერილში აღვნიშნეთ, რომ ირლანდიელებს ყოველგვარ ხელობასაც კი უკრძალავდნენ და ეს განსაკუთრებულ უფლებას შეადგენდა მხოლოდ კოლონისტებისას. ესეც დიდ ჰირად გადაექცათ თვით კოლონისტებს, რადგან უბრალო მუშა და მიწის მთხრელი კარგი ხელოსნის ნამუშევარს ვერაფერს შეიძენდა; სიღარიბეში სული ამოსდიოდა და ინგლისური საქონელი უქმად ეყარა, კლიენტურა, მყიდველი არამთუ არა მატულობდა, ვინც იყო, ისიც იკარგებოდა, რადგან ნამეტანი შევიწროებისაგან ხალხი სულ უკან და უკან იხევდა.

მხოლოდ იმ გარემოებამ, რომ ირლანდიელები შესკულიტეს ვიწრო ფარგალში და ნებას არ აძლევდნენ არც მიწის ყიდვისას, არც იჯარისას, სრულებით შეუკრა ხელფენი თვით კოლონისტებსაც; ისინი ველარ მოულობდნენ მუშას, თვითონ ვერ მუშაობდნენ და ან ძვირფასი მუშა-ხელი უნდა მოეყვანათ ინგლისიდან ან, როგორც უმეტეს შემ-

თხვევაში იქცეოდნენ, —სულ ანებებდნენ თავს მამულსა და გარბოდნენ. ეს კი უარესად ასუსტებდა ქვეყანას, რადგან არაფერი არა კეთდებოდა და ხალხი ძალაუნებურად ბაგანოვდებოდა. ამ გვარად ყოველი სასტიკი იარაღი მთავრობისა მისივე წინააღმდეგ იბრუნებდა ხოლმე პირსა და ეს ნამეტანად გაძლიერდა მაშინ, როცა ადგილობრივი მცხოვრებნი უკიდურეს სიღარიბემდე მივიდნენ. გახშირდა ყაჩაღობა და მკვლელობა, რადგან მშვიერი ხალხი ველარ პოულობდა სამუშაოს, ველარ ამუშავებდა საყვარელ და ლუკმის მომცემ მიწას. რასაკვირველია, უმთავრესად ეს ავაზაკობა მიმართული იყო დამძალებელთა მიმართ, რადგან ისინი იყვნენ პირველი მიზეზნი ქვეყნის გაოხრებისა. საიდუმლო ჯგუფები, პარტიები თავის საბრძოლველ ღოზუნგებად მარტო ლორდების და მათ მოურავების მკვლელობას და ცარცვას ისახავდნენ. მთავრობა სასტიკ ომს უცხადებდა მათ, მაგრამ ვერას ხდებოდა. ეს გამუდმებული ომი მარტოოდენ იწვევდა აუარებელ ხარჯს პოლიციაზედ, ჟანდარმერიაზედ, რომელიც მუდამ უნდა ჰყოლოდა ინგლისს ირლანდიაში; ჰბადებდა სახელმწიფოში გაუთავებელ შფოთს და შიშს და შეხლა შეჯახებას საკუთარ პარლამენტში. ყველა ამას გარდა, ირლანდია გადიქცა იმ სუსტ ადგილად ინგლისისა, საცა ყველა მტერს შეეძლო მოეკალათებინა და ნიადაგი ეპოვნა ინგლისის შიგნიდან დასანგრევად.

ყველა ეს „სახელმწიფოებრივი საფრთხე“ ღრმად აფიქრებდა შეგნებულ ნაწილს ინგლისელი ხალხისა და თანდათან ფეხს იკიდებდა არა მარტო ლიბერალულ საზოგადოებაში, თვით მთავრობის წრეებშიაც ის აზრი, რომ ირლანდიის პოლიტიკა უნდა შეიცვალოს. როგორც ვიცით, პირველი დამცველი ამ პოლიტიკისა—გლადსტონი, დამარცხდა, მაგრამ მისმა იდეამ ნიადაგი არ დაჰკარგა და მეოცე საუკუნის დასაწყისში პირიქით უფრო მედგრად გაიღვა ფეხი მთელს სახელმწიფოში, რასაც ხელი შეუწყო „სახელმწიფოებრივმა გამოცდილებამაც“ ინგლისის სხვა კოლონიების საქმეებში და საზოგადოთ ეროვნულ გრძნობათა გამოღვიძებამ მთელ მსოფლიოში. მრავალ საუკუნეთა და სხვა სახელმწიფოთა გამოცდილებამაც დაამტკიცა საბოლოოდ, რომ დევნა რომელიმე ერისა უსიამოვნების მეტს არას აყენებს თვით უძლიერეს სახელმწიფოებს.

და აი, ჩვენ ვხედავთ, რომ ინგლისი შეუდგა სულ სხვა პოლიტიკას. თვით ლიბერალურ მთავრობას შეაქვს „ბილი“ (კანონპროექტი) ჰომბრულისა, ანუ ავტონომიისა.

თუ რამდენად შეეგუება ასეთი გარდაქრა საკითხისა ორთავ ხალხის სურვილს და ინტერესებს, სჩანს არა მარტო თვით კანონპროექტიდან, რომელსაც ქვევით მოვიყვანთ, არამედ იმ საღატაცებიდანაც, რომელიც გამოიწვია ამ ამბავმა თვით ირლანდიაში. ყველა პარტიები, დიდი და პატარა, მღვდელი, მიწადმოქმედი და მუშა—ყველა ეროვნირად გრძნობდა, რომ ირლანდიას ახალი ხანა დაუდგა, ხანა სანატრელი თავისუფლებისა, როცა თავის პედის გამგებელი თვითონ იქნება.

ო' კონნორი და ჯონ რედმონდი, ირლანდიის პარტიათა ლიდერები, რომელიც უკიდურესი მტრები იყვნენ ინგლისისა, ეხლა ინგლისის ხალხთან ძმობა-ერთობას ქადაგებენ და ხმა-მალლა ამტკიცებენ, რომ ეს კანონპროექტი შეიცავს ყველაფერს, რაც კი ირლანდიას ენატრებაო. და ასეთმა მსჯელობამ შეაერთა ყველა ეროვნული ელემენტები ერთსულოვანი გრძნობით.

ასევე იყო ტრანსვაალში, როცა სამი წლის წინად ინგლისმა მისცა ავტონომია. და რომ უფრო ნათლად დავინახოთ, თუ რამ გამოიწვია ასეთი აღტაცება, გადავიდეთ თვით „ჰომბრულის“ შინაარსზედ.

ავტონომიის ახალი კანონპროექტით, ირლანდიის შინაგან საქმეებს განაგებს ირლანდიის პარლამენტი, შემდგარი, როგორც თვით ინგლისში, ზედა და ქვედა პალატისაგან. ზედა პალატაში იქნება 40 წევრი და ქვედა პალატაში 164 კომმონერი, ანუ დეპუტატი.

ზედა პალატის წევრებს ნიშნავს საიმპერიო მთავრობა 8 წლის ვადით, მაგრამ ნაწილ-ნაწილად ისინი შეიცვლებიან თვით ირლანდიის მთავრობისაგან, ანუ მეფის მოადგილესაგან. მეფის მოადგილე ადგილობრივ საქმეების გადაწყვეტაში ექვემდებარება ირლანდიელ სამინისტროს „საბუქოს“.

ქვედა პალატას ირჩევს ირლანდია იმავე კანონის ძალით, რომელიც მოქმედობს მთელს იმპერიაში, ე. ი. ისინი, ვინც 10 გ. სტერლინგს იხდიან ქალაქში და 5-ს სოფელში, სახელმწიფო ხარჯსა.

თუ ვინიცობაა ქვედა პალატა და სენატი (ზემო პალატა) ვერ შეთანხმდნენ რომელიმე საკითხში, მაშინ იმართება საერთო სხდომა სენატისა და პარლამენტისა, საცა ხმის უბრალო უმეტესობით სწყდება ყველაფერი. აი ეს უკანასკნელი დებულება აძლევს მთელი გამგებლობის ძალას ირ-

ლანდიის პარლამენტს, რომელსაც საკუთარ, შინაურ საქმეებში შემცირებული აღარავინ ეყოლება. ფაქტიური გამგე ირლანდიის საქმეებისა, თვით ირლანდიელთა არჩეულნი უნდა იყვნენ. აი ეს გახლავთ მოკლედ „ნამდვილი ავტონომია“.

რასაკვირველია, ირლანდიის პარლამენტს ნება არა აქვს გამოსცეს კანონები, რომელნიც შეეხებიან მთელს სახელმწიფოს, მეფეს, ჯარს ან ფლოტს. არ შეუძლიან ომის ან ზავის გამოცხადება სხვა სახელმწიფოსთან ან ცალკე ხელშეკრულობის ჩამოგდება უცხოელებთან.

რაც შეეხება ადგილობრივ კანონმდებლობას, როგორც დავინახეთ, ირლანდიის პარლამენტი სრულ უფლებიანია. მაგრამ იმისათვის, რომ პარლამენტი არ გადავიდეს თავის საზღვრებს და სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ ფაქტიურად არა მოიმოქმედოს რა, სახელმწიფო იტოვებს ორს „ვეტოს“: პირველი „veto“ (აკრძალვა) ეკუთვნის მეფის მოადგილეს და შემდეგი საიმპერიო პარლამენტს, რომელსაც შეუძლიან გააბათილოს ყოველი კანონი, მიღებული ირლანდიის პარლამენტისაგან.

სხვა სახელმწიფოში, ეს, რასაკვირველია, გამოიწვევდა შიშს, რომ ფაქტიურად ირლანდიის პარლამენტს ინგლისის პარლამენტი თავისუფლად ხმას არ ამოაღებინებს, მაგრამ თვით ირლანდიელებს კარგად ესმით, რომ ინგლისი განსაკუთრებით ირლანდიის მტრებისაგან არ შესდგება და მისი პარლამენტი დარბაისელ პოლიტიკოსებით არის სავსე, რომელნიც ხელმძღვანელობენ საერთო სახელმწიფოს ინტერესების შეგნებით და არა უბრალო ჟინით. ამიტომ არის, რომ მთელი ირლანდიის ხალხი, საპარლამენტო ფრაქცია და დაწესებულებანიც სიხარულით და დიდის ნდობით იღებენ ამ უკანასკნელ „უფლებათა შეკვეცასაც“ კი.

თუ რამდენად სასარგებლოდ და **სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით** გამოსადეგად მიაჩნია ინგლისის მთავრობას ავტონომია, იქიდგანაცა სჩანს რომ ხაზინიდან ახალის კანონპროექტით წლიურად ეძლევა ირლანდიას 500,000 გირ. სტერლინგი ახალი მმართველობის მოსაწყობად. ამას გარდა, ირლანდიის პარლამენტს ნება ეძლევა არსებული გადასახადები გაადიდოს და მაშინ ხაზინის დახმარება პროპორციონალურად იზრდება.

ყველა ამასთან ირლანდიას არ ეკარგება უფლება სახელმწიფო პარლამენტშიაც იყოლიოს დეპუტატები, თუმცა ისე მრავალ რიცხოვანი აღარა, როგორც წინად. აქამდის თუ 103 იყო, ეხლა მხოლოდ 42 იქნება.

ამ გვარად, მოკლე განხილვიდანაც სჩანს თუ რა შეღავათი მიეცემა ირლანდიას საკუთარ საქმეების გარიგებაში და დახელოვნებული პოლიტიკოსები, თვით გამოცდილი, შინაურ და გარე პოლიტიკაში გამობრძმედილი მთავრობის პოლიტიკურებს ამ საქმეს.

მაგრამ ამ საქმესაც თავისი მტრები გამოუჩნდნენ: თავდაპირველად ინგლისის პარლამენტის კონსერვატორები, და შემდეგ ზედა პალატა, პალატა ლორდებისა, რომელთაც აქამდისაც უმეტესი ნაწილი ირლანდიის ტერიტორიისა უჭირავთ და, რასაკვირველია, ვერ ურიგდებიან იმ აზრს, რომ აქამდის უუფლებო და მათგან გაყვლეფილ-განადგურებული ხალხი, ეხლა ბატონ-პატრონი შეიქნება საკუთარის ბედისა. ამისათვის ათას „მოსაზრებას“ იგონებენ, რომ დაბრკოლება აღმოუჩინონ ახალს კანონს. მაგრამ ყველაზე გააფთრებული მტერი ჰომრულისა თვით ირლანდიაში იმყოფება - ეს გახლავთ ვგრედ წოდებული „ოლსტერი“. რომ კარგად გავცნოთ ამ დაუძინებელ მტერის ფსიხოლოგიას და არგუმენტაციას, უნდა ცოტა დაუბრუნდეთ ისტორიას.

როგორც ვიცით წინა წერილიდან, ინგლისი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მეტად სასტიკად სდევნიდა ირლანდიელებს და მფარველობდა ინგლისელ კოლონისტებს. ყველგან ასახლებდა, ყველგვარ დახმარებას უწევდა ფულით, საქმით, კანონებით და სხ.

ამით მეტად აღრმავებდა მკვიდრთა და კოლონისტებს შუა შუღლსა და სიმშუღვარეს. კოლონისტები მთავრობის და ინგლისელ ხალხის თვალში ქვეყნის მარლიად ითვლებოდნენ, მარტო ისინი იყვნენ მატარებელნი კულტურისა და ირლანდიელები კი ყოვლად უმაქნისი და უვარგისნი. კოლონისტებსა ზ ირლანდიელთ შორის ისეთივე ზღვარი იყო, როგორც ადამიანსა და პირუტყვს შორის.

მაგრამ, როგორც ზემოდაც აღვნიშნეთ, ასეთმა პოლიტიკამ თვით ინგლისელებსაც არ მოუტანა ხერი და კოლონისტები იძულებულნი იყვნენ თვითონ დაერღვიათ ხოლმე მათი მფარველი კანონები, რომ არსებობის და გამდიდრების საშუალებანი შერჩენოდათ.

ამ მხრივ განსაკუთრებულ პირობებში მოექცა ოლსტერი. ამ ირლანდიელ პროვინციაში უფრო მოიკიდეს ფეხი ინგლისელ კოლონისტებმა და მფარველობის კანონებით ისე ისარგებლეს, რომ ყველაზედ შეძლებულნი, კულტურულნი და ძლი-

ერნი ისინი იყვნენ მთელ კუნძულზედ. მათ ეპყრათ თითქმის ყველა დაწესებულება, ყველა შემოსავლიანი მიწა და ადგილი, მათ ხელში იყო საუკეთესო ქარხანა-ფაბრიკები, სამრეწველონი და სახელოსნოები. რასაკვირველია, ასეთმა მფარველობამ გაუღვიძა და აღზარდა ოლსტერის მცხოვრებლებში ამპარტავნული შეხედულება, რომ ისინი ყველაფრით, გონებრივად თუ ზნეობრივად მალლა სდგანან ვიღაც უგვარტომო ირლანდიელებზედ და ყოველთვის, როცა მთავრობა იძულებული ხდებოდა ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა ირლანდიელთა ბედი — ეს ოლსტერელი ბატონები თვით მთავრობას ეურჩებოდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ირლანდიელები ველური ხალხია, არაფერი ესმით, არაფრის გაკეთება შეუძლიანთ და მარტო ისინი (ოლსტერის მემკვიდრენი) არიან შეგნებული და შრომის მოყვარე ელემენტი კუნძულისა.

ახლა, როცა ასკვიტმა შეიტანა ინგლისის პალატაში „ბილი“ ჰომრულისა, ყველაზედ მდგარი წინააღმდეგობა გამოაცხადეს ოლსტერის კოლონისტებმა.

ისინი ამტკიცებენ, რომ ირლანდიელები მთლად უსაქმურებისა, ყაჩაღებისა და რესპუბლიკანტელებისაგან შესდგებიან; რომ ისინი მარტო ავტონომიას უცდიან, რომ სხვა სახელმწიფოს მიეკედლონ და ინგლისი დააქციონ; რომ მათ სეპარატისტული მიწრაფებანი ამოძრავებთ მხოლოდ და სხვა არაფერი. ნამდვილად კი ოლსტერელთა ეშინიანთ, რომ ირლანდიელები მათთან თანასწორ უფლებიანი გახდებიან, და პარლამენტში თუ სხვაგან, უმეტესობა მათი იქნება და ოლსტერს სალაფავი შემოაკლდება.

დაახლოვებით, ეს სამი უმთავრესი მტერი ჰყავს ჰომრულს — პარლამენტის კონსერვატორები, ლორდების პალატა და ოლსტერი. უკანასკნელი იმასაც კი იმუქრება, რომ სახელმწიფომ თუ მიიღო ჰომრული და მეფემ ხელი მოაწერაო, ჩვენ, როგორც ერთი კაცი ავჯანყდებით და იარაღით ხელში დავიცავთ ჩვენს უფლებას და მეფის პრესტიჟსაო. ასე რომ ახირებული მდგომარეობა შეიქმნა: მთავრობა იძულებული გახდება ძალით მიანიჭოს თავისუფლება ირლანდიას, რომელსაც სახელმწიფოს ქვეშევრდომთა ერთი ნაწილი ეწინააღმდეგება.

ყველა ეს დაბრკოლებანი, რაღა თქმა უნდა, ცალცალკე ვერაფერ ძალას წარმოადგენენ, მაგრამ საშიში ის არის, რომ ეს მტრები არ შეერთდნენ საბრძოლველად და ეხლანდელ ლიბერალურ მთავრობას ძირი არ გამოუთხარონ. ეხლა მთავრობა

ემყარება ლიბერალურ უმეტესობაზედ პარლამენტში, რომელიც ჰომრულის მომხრეა და ირლანდიის 103 წარმომადგენელზე, მაგრამ კონსერვატორები ყოველ ღონეს იხმარებენ, რომ ~~საქმის მომხრე~~ განწყობილება დაარღვიონ პარლამენტში და ახალი არჩევნები გამოიწვიონ.

აი ის ერთად ერთი გზა, რომლითაც შეედლებათ ჰომრულის მტრებს ხელი შეუშალონ თითქმის გამარჯვებულს ირლანდიას, მიიღოს საკუთარი თვითმართველობა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ასკვიტი, ინგლისის პრემიერ-მინისტრი, ვიდრე შეიტანდა ამ კანონპროექტს ქვედა პალატაში, ასწონ-დასწონიდა ყველა გარემოებას და იმიტომ სთქვა თამამად: „ნამეტანი ცენტრალიზაცია ასუსტებს სახელმწიფოსაო... ამიტომ უნდა განვათავისუფლოთ პარლამენტი ადგილობრივი კანონმდებლობისაგან, რომელნიც აფერხებენ სახელმწიფო საქმეების გაძლოლასაო.“

თვით ოლსტერის წარმომადგენლებშიაც 16 ჰომრულის მომხრეა და 17 წინააღმდეგი (იუნინისტი) — ასე რომ ამ უდიდეს „დამცველთა ციტადელშიაც“ შერიყა საძირკველი და სულ ახლო მომავალი გვიჩვენებს, თუ რა შედეგები მოსდევს ავტონომიურ წესწყობილებას თვით სახელმწიფოს სიძლიერისათვის და ადგილობრივ მეურნეობის და კეთილდღეობის აღდგენისათვის.

რ. გ.

(შემდეგი იქნება)



აღ. ს—ძე ხახანაშვილი

აუარებელ წიგნების ანგარიშის გაწევა და ახალ-ახალ სამეცნიერო თხზულებათა გამოქვეყნება, რომელიც ნორმალურს პირობებში ყოველად შეუძლებელი იყო, რომ მოესწრო ადამიანს, აღ. სოლ. გაუადვილდა საოცარი ენერჯის წყალობით. მართლაც: ნუთუ საოცარი არ არის, რომ ეს სუსტი ადამიანი ამოდენა რამეს ასწრებს: ჩვენ ვიცით, რომ იგი ქართულ სიტყვიერების პროფესორად იყო დანიშნული აღმოსავლეთ-ენათა ლაზარევის ინსტიტუტში; 1900 წ. კიდევ, უნივერსიტეტში კითხულობს ისტორიისა და ლიტერატურის შესახებ როგორც პრივატ-დოცენტი, ხოლო ამავე დროს დედათა გიმნაზიაში სიტყვიერე-

ბის მასწავლებლად არის. მაგრამ ყველა ეს მით უფრო საოცრად დაგრჩებათ, თუ გავიხსენებთ, რომ ამავე დროს ალექსანდრე სოლომონის ძე თამამად უძღვებოდა საუნივერსიტეტო ოქმების შედგენას, როგორც საქმის მწარმოებელი, და აუარებელ რვეულების გასწორებას, რომელიც დედათა გიმნაზიიდან მოჰქონდა შინა. ვინც ჩახედულია მასწავლებლობის საქმეში, დამერწმუნება, რომ ეს არც ისე ადვილი საქმეა, როგორც სიტყვით შეგვიძლიან გადავსცეთ ერთმანეთს. და ყველა ამის შემდგომ, თქვენ ხედავთ კაპიტალურ თხზულებათა ტომებსა განა კითხვა უნდა, თუ რა დიადი სამსახური გავვიწია განსვენებულმა ალ. სოლომონის ძემ თავის ოთხტომიანი „ქართული სიტყვიერების ისტორიის მიმოხილვით“ —? შემდეგ „კვალი საერო პოეზიისა ქართლის ცხოვრებაში“, „ბატონყმობა საქართველოში“, ეს მისი სამეცნიერო კვლევის შედეგები. ვგონებ მოგაგონდებათ „სათავად-აზნაურო სიგელ-გუჯრები“, ანუ „ახალი სიტყვა ვეფხისტყაოსნის შესახებ“... მაგრამ განა შესაძლებელია მთელი სიის თუნდა სქემატიკური სახით ჩამოთვლა? წარმოიდგინეთ, რომ ამისთვისაც ერთი და ორი საათი არ იკმარებდა! ასეთნაირადვე აღსანიშნავია განსვენებულის მოგზაურობანი სამეცნიერო მიზნით ჩვენს ძველს მონასტრებში საზღვარ-გარედ, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი 1902 წ. ათონის მონასტერში მოგზაურობა, რომლითაც მრავალ მხრით ნათელი მოჰფინა ჩვენს საეკლესიო წიგნების საკითხს, განსაკუთრებით ბიბლიასა და სახარებას, რომელთა შესახებ უკანასკნელ ხანებში კიდევ დასწერა ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი თხზულებანი.

განსვენებული ალექსანდრე სოლომონის ძე საუკეთესო დარაჯი იყო ჩვენის წარსულისა. გულჩვილი, წყნარი, რომელ დარბაისელ ოჯახშიც მოექცეოდა, მაშინვე იმას სთხოვდა, რომ მისთვის ზღაპრები ეამბნათ. ბევრს ეს სიცილადაც არ ჰყოფნიდა, ვინ პროფესორი და ვინ ზღაპრების აუღლებო. მაგრამ მას განსაზღვრული მიზანი ამოქმედებდა, ჩვენს ზღაპრებში იგი ჰხედავდა ქართველ ერის მთლიანობას, მის გონიერებას, მის ფანტაზიას და შემოქმედებითს ნიქს. ერთი რამ აწუხებდა განსვენებულს, სახელდობრ ის, რომ ჩვენს პოეზიაში არ არის რიტორიკული ლექსებიო. აი, ამ მიზნით დაიწყო თვითონ ლექსების წერა **პავლიაშვილის** ფსევდონიპით ჯერ კიდევ კვალში, ხოლო ამ ახლო წარსულში — კოლხიდის ფურცლებზე. ბევრი რამ დასტამბა საყურადღებო, განსაკუთრებით ვგო-

ნებ ყველას გეხსომებათ მისი მშვენიერი ლექსი: „შემოდგომის მზის სხივსავეთ ალარ მათბობს ჩემი სატრფო“ და სხვა. ასეთივე განზრახვა ჰქონდა ჩვენთვის მოცულობის ნიმუში, თუ როგორ უნდა იქნებოდეს იგიო. მაგრამ ამის შესახებ დანამდვილებით ჯერ არა ითქმის რა, როგორც იმ მრავალ ხელნაწერებზე, რომლებიც გამოუქვეყნებელი დარჩა განსვენებულს.

რა თქმა უნდა, ყოველ მხრით გაწდომა და ყველა საგნის მეცნიერული გაშუქება ყოველად შეუძლებელია, თუ რომ ხელი ყოველ დარგისკენ გვექნება განსვენებულის მზგავსად გაწოდებული. აი, რატომ არის, რომ მის სამეცნიერო თხზულებათ არ აძევს ღრმა, მეცნიერული ნაშრომის ფასი. ამის პრეტენზია არა აქვს განსვენებულის თხზულებათ: მისი კვლევის მეთოდი, de facto, ძალიან შორსა სდგას კლიუჩევსკისა თუ ვინოგრადოვის სამეცნიერო კვლევის მეთოდიდან, რომელსაც შეცდომით შეადარა ბ—ნმა გრიგოლ ყიფშიძემ „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე. მაგრამ ეს შეცდომა მხოლოდ გულუბრყვილო განმეორება განლავსთ იმ შეცდომისა, რომელიც ბროკჰაუზეს ლექსიკონში გვხვდება განსვენებულის სამეცნიერო კვლევის მეთოდის შესახებ. მაგრამ ეს გრემოება ოდნავაც არ ამცირებს განსვენებულის ნაშრომ-ნაღვაწს. ის რომ სასტიკად მოქცეულიყო და თვითველ ფურცლის სტრიქონობით აწონ-დაწონისთვის კლიუჩევსკისავეთ დრო დაეგარჯნა, მაშინ ჩვენ ვერასოდეს ვერ ველირსებოდით უკვე სისტემაში მოყვანილს ჩვენს ლიტერატურის ისტორიას. აი ამ მხრითაც, სულ რომ არა იყოსრა, იმიტომ არის დიადი მისი თხზულებანი, რომ აუარებელ ნაწყვეტების შეგროვება და მათი სისტემაში მოყვანა თქმა არ უნდა, რომ „მის შემდგომად მოძმესა მისსა სიძნელეს გზისას გაუადვილებს“...

ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობას მით უფრო მეტად დავდებთ ფასს, თუ რომ გავიხსენებთ იმ დროს, როდესაც განსვენებულს მოუხდა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა. ქართველმა ერმა, როგორც ასეთმა, რუსეთთან შეერთების შემდეგ ნელ-ნელა თვითონვე გაითელა ის უფლებანი, რომელნიც საუკუნოებით შეეძინა თავის არსებობის დამამტკიცებელს თამასუქად. ჩვენი ინტელიგენცია, როგორც ეს მშვენიერად დაახასიათა თავის წერილებში ბ—ნმა არჩილ ჯორჯაძემ, მთელს მე-XIX—საუკუნის განმავლო-

მაში არ არის თავისი თავის მცნობი, ე. ი. მისი ისტორია არ არის თავის უფლების მცნობი ერის ინტელიგენციის ცნობა. მართლაც, განა დარბაის-ლური დუმილი შესაწყნარებელი იყო იმ დროს, როდესაც მთელს საუკუნის განმავლობაში პოლიტიკურ სფეროში ასეთი მკაცრი მუხრუჭებით გამოგვსალტეს და მწვავე შოლტებით აგვიჭრელეს მთელი თავპირი! განა სავალალო არ არის ის მოვლენა, ვიტყვი იმავე ადრინდელ ჯორჯაძის სიტყვით, რომ საუკუნის განმავლობაში, თუ რომ მხედველობაში არ მივიღეთ მთიულეთისა და კახეთის ამბოხება, „რომანტიულ პატრიოტობის“ გარდა ფაქტიურად ვერას ვხედავთ; რომ საქმით და მოქმედებით ერთი ჯგუფი თუ ფრაქცია მაინც აღმოჩენილიყო ჩვენს საზოგადოებაში, რომ „ერის უფლებათა“ დამცველად გამოსულიყო! ჩვენში მხოლოდ ლიტერატურული ვარჯიშობით კმაყოფილდებოდნენ, ისიც ისეთის სახით, რომ კითხვა მხოლოდ გარეგან ფორმას ეხებოდა. რა თქმა უნდა, ასეთს დროს გამოსვლა მხოლოდ რაინდ ადამიანს შეეძლო, რომ რომანტიზმით მიძინებულს ჩვენს ერში სიცოცხლის ტალღა შეეტანა. ეს შეიგნო განსვენებულმა აღსოლომონის ძემ და აი, ხალხის გამოღვიძება, ჩვენი ერის უფლებათა გამოსარჩლება და აღდგენა მან მოინდომა არა ცეცხლითა და მახვილით, არამედ ცივი, მეცნიერულის შრომით, ვინაიდან ამ მხრით იგი ჰხედავდა, რომ სამშობლოს გაცილებით მეტს სარგებლობას მოუტანდა, ვიდრე ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ ამბოხების ცეცხლის დანთება და მთელი მთიულეთისა და კახეთის აჯანყებანიო. და მართლაც, ჩვენ ვხედავთ, თუ რა დიადი სარგებლობა მოგვიტანა მისმა დაულალავმა შრომამ: ჩვენმა მოკავშირე რუსის ხალხმა რავდენადმე მაინც გაიცნო ჩვენი წარსული, ჩვენი აწმყო; დასავლეთი ევროპაც მიხვდა, რომ კოლხიდის ყურეს თურმე ტყუილად არ უძღვნიდნენ თვალ წარმტაც ლეგენდებს ძველად ბერძნები, რომ მართლა იგი ღირსია შესწავლისა, რომ ერი, რომელიც მთელს საუკუნის ქართველებს თამამად უძღვებდა, ღირსია პატივისცემისა და არა აბუჩად აგდებისა, რომ ივერიას—ანუ იბერიას ცხრა თავიანი ველურები და დევები კი არ დაძრწიან, არამედ ერი, რომელსაც ჰქონია საკუთარი კულტურა, რომელსაც შესძლებია რუსთაველისა და ქავჭავაძე-აკაკ-ვაჟა ფშაველათ წარმოშობა, რომ აქ, ამ ღვთისმშობლის წილობდომილს ქვეყანაში ტრიალებს მადლი ზენაარის, აქა ჰყვოდა დიდი თამარის წალკოტი, რომელიც სემირამიდას დაკიდულ წალკოტთ ფერს უცვლიდა!..

საიდუმლო და ცხოვრების ზედაპირზე მეტად ძნელი დასაჭერი გულ-წრფელი გრძნობანი, რომელიც თავგამოდებით ეკვეთებიან უკვე ჩვეულებად გარდაქმნილ უკულპართს საზოგადოებრივ უფლებათ;—აი ის იარაღი, რომლითაც აღჭურვილი იყო ალექსანდრე სოლომონის ძე. მოსიყვარულე და სამშობლოსათვის თავგადადებული, იგი სიზმრად თუ ცხადათ ელოლიავებოდა მის ლანდს, დაჰქათქათებდა უნცროს შვილის წმინდა ალერსით, წინასწარმეტყველის მოწინებით ემხობოდა მის საღმრთო საკურთხეველის წინ და მადლიან კრემლით აღვიარებდა თავის მრწამსს, რომელიც გულის საიდუმლო დაფაზე ცნებათა—ცნებად დაეწერა: „მიყვარს, ამბობდა ის,— ჩემი სამშობლოს ეკლესია.

„მიყვარს ქართული ეკლესია, მიყვარს მისი გარეგანი გეგმაც. იქ მწყობრად მგალობელთა გუნდი და ტკბილ ხმაზე წაკითხული სამღვთო წერილი. მიყვარს ჯერ იმიტომ, რომ მხოლოდ აქ მესმის დიადი და გამომეტყველი მამა-პაპური ენა, რომელზეც ღვთისადმი ლოცვას ალაველიდნენ ჩვენი წინაპარნი, აღმაშენებელნი მცხეთის, სიონის და გელათის ტაძრებისა. სასოების გარდა, რომელიც ავსებს ჩემს დაწყულულებულ გულს, ქართული სამღვთო წერილი მიღვიძებს ჩაფერფლილს პატრიოტულ სიამაყესაც. როცა ვისმენ სამოციქულოს კითხვას, მაშინ მაგონდება მეფე დავით აღმაშენებელი, რომელსაც თან დაჰქონდა იგი მოგზაურობის და ომიანობის დროსაც, არ გაატარებდა არც ერთ დღეს, რომ არ წაეკითხა მოციქულთა საქმენი. ჩემი ოცნება აცოცხლებს მაშინ ათასი წლის წარ ულ სურათს, ვხედავ ახოვან და სახელოვან მეფეს, ხელნაწერ სამოციქულოს კითხვით აღტაცებულს და მასთან ძველ საქართველოს, მორწმუნეს და მტკიცეს ეკლესიის და მამულის დაცვის საქმეში. როცა დაუჯდომელი გაისმის ღვთის-მშობლის ხატის წინაშე და სულს ეწვეთება მალამოსავით აქ ამონაკითხი სიტყვები, მაშინ ცოცხლად ვხედავ თვალცრემლიან მეფე თამარს; რომელიც მუხლ-მოდრეკით ჩაჰკვარვებია ლოცვანს და შეგვედრის უფალს საქართველოს დიდებას და ბედნიერებას. როდესაც ჩემი ყური გაიგონებს ნაზად დაწყობილს „მამაო ჩვენო“, მაშინ გამომეხატება მეფე ირაკლი, კრწანისის ველზე გულ-მხურვალედ მლოცავი, რათა ააცდინოს მამულს კარზე მომდგარი საშინელი განსაცდელი. მესმის „ქრისტე აღსდგა“ და წამსვე ვხედავ დავით გარეჯის მონასტრის ბერებს, რომელთაც ზედ აღდგომა ლამეს, ლიტანიობას, დაეცა სპარსეთის შე-

მოსეული ჯარი და მათი უმანკო სისხლით შეღება სავანის ზღუდენი.

წყნარი და საიდუმლოებით მოცული გალობა „რომელი ქერუბიმთანი“ უცებ მაგონებს იმ მოსწავლეს ბავშვებს, რომელნიც საეკლესიო სკოლაში ან-ველოზის ხმაზე აღულუნებდნენ ამ ლოცვას, განსწავლულს წმ. ექვთიმეს მიერ. ვხედავ ჩამწკრივებულ ბიჭებს, ცეცხლებრივ ანთებული თვალებით, ვხედავ მათ დედ-მამას ხელ-აპყრობით შემავდრებელს, რათა გაუზარდოს უფალმა შვილი მამულის მცველად და კერის სანთლად. სმენად ვარ გადაქცეული, როცა დიდებულად კითხულობენ სახარებას, მკაფიო ენით გადმოთარგმნილს დაუღალავი მუშაკის გიორგი მთა-წმინდელის ღვაწლით. ვსტკბები კითხვის ძველებური კილოთი. აღტაცებაში მოვდივარ სამღვთო წერილის ღრმა ცოდნით და დაუშრეტელ სიყვარულით, რომელიც ერთად ჩააქსოვეს ღირსმა ქათველმა მთარგმნელებმა. სწორედ აი მაშინ ვგრძნობ სიამაყეს, როდესაც ვუკვირდები ამათ შეუღარებელს შრომას. მოყვარეობით და შეგნებით ათასი წლის წინად გადმოიღეს ქართულად ეკლესიის საჭირო და აუცილებელი წიგნები. ეს სამღვთო წერილი, რომელიც გაისმოდა ათასი წლის წინად ქართველი ერის ბაგეთაგან; შეგვრჩა აქამდის და მეოცე საუკუნის მორწმუნე ხდება დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ირაკლის თანამედროვედ: იგივე ლოცვა იმავე ენით, გივე გალობე იმავე ხმაზე, იგივე სამოციქულო და სახარება მაკავშირებს ძველ დროთა ქარველ საზოგადოებასთან და ჰყოფს განუწყვეტელად წარმოშობას და განვითარებას წარსულს და აწმყო საუკუნოებისას. ამიტომ მიყვარს ქართული ეკლესია, ამიტომ თავ-გამოდებით მინდა დავიცვა. ე. ი. მინდა დავიცვა ის, რათა ისტორიული კავშირი არ მოისპოს ჩვენსა და ჩვენს წინაპართა შორის“.

აი, ეს მრწამსი, მრწამსი განსვენებული აღექხანანაშვილსა, რომლითაც იგი ელტვოდა, რათა „ისტორიული კავშირი არ მოსპობილიყო ჩვენსა და ჩვენს წინაპართა შორის“ სევდის მანტიას მოასხავდა მის დაობლებულს სულს და განუსახლვრელი ნაღვლით იზიდებოდა როდესაც ჰხედავდა, რომ ეს „კავშირი“ მეტად შესუსტდა, რომ ჩვენ უკვე უარის უოფაზე დავდექით, რომ ჩვენ დიდხანია რაც უპიროვნო პიროვნებად გარდავიქმენით! იგი ამ დროს თითქმის სულითაც ეცემოდა, თუ ცა ამ საშინელს კრიზისსა და განწირულების დროსაც კი კალამს ხელიდინ არ აგდებდა და ერთხელაც არ განუცხადებია სურვილი, განშორებოდა სამწერლო ასპარეზს, სადაც იგი იბრძოდა და იტანჯებოდა. ერთხელაც ფიქრად არ მოსვლია განდევნილიყო, მოეძებნა მყუდრო სავანე და თავისთვის წყნარად ეფიქრნა ცხოვრებისა და იდეალების შეუთანხმლობაზე, ადამიანის უმწივობაზე, უმთავრესად კი—ჩვენს ისტორიულ კრალიკულ პროცესის აზრსა და დანიშნულებაზე! პირ-

იქით, იგი იბრძოდა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, თვით მაშინაც კი, როდესაც დიადს სულს მისი ფიზიკური აგებულობის უკანასკნელი ღვეთი და შეელოია და საბოლოოდ იმედი არ გადაუწყდა თავის გამობრუნების შესახებ, მას არ დაუყოლია სამწერლო იარაღი და ძველებური სიმხნევით განაგრძობდა ბრძოლას, რომ გულიდან ამოსროლილი ნაპერწკლები გადაერთყორცნა სამშობლოს უბეში და მისი შვილნი დაეფიქრებინა გამოფხიზლებაზე!

სამწუხაროდ მე დრო და გარემოება ნებას არ მაძლევს მისი საპროტესტო წერილები სან-მუშოდ მომეყვანა, თუ ეს მგრძნობიერი ადამიანი ხშირად როგორ ლაპადაკობდა მთელი საქართველოს სახელით, როდესაც ესა თუ ის სერიზული საკითხი იყო ხოლმე წამოყენებული და ჩვენი პრესა თუ წარჩინებული წოდება როგორ დარბაისლურ ღუმილს აძლევდა თავსა. განსაკუთრებით აღსანიშნავია საეკლესიო საკითხები ავტოკეფალიის შესახებ. მისი პუბლიცისტიკური კალამი არა სცხრებოდა, როდესაც ჰხედავდა, თუ როგორ ითიშებოდა ჩვენი ენა არა თუ სასწავლებლებიდან, არა მდ ეკლესიებიდანაც კი. ამ მხრით საინტერესოა მისი პუბლიცისტიკური წერილი „სარწმუნოება და ეროვნული ენა“, რომლითაც იგი გამოესარჩლა ქუთაისის საკრებულო ტაძარები წირვა-ლოცვი კვლავ ქართულს ენაზე აღდგენას. საზოგადოდ არ არის ისეთი მომენტი, ისეთი რამ, რომლისთვისაც უურადღება არ მიექციოს განსვენებულს. მას კერძო კორესპონდენციები ჰყავდა დაქერილი, რომ სწრაფ ეცნობებინათ მისთვის, თუ რამე სერიოზული კითხვა იყო აღძრული. მან პირველმა გაუღო კარი აღ. ყაზბეგის „ელგუჯასა“ და „მამის მკვლელს“, რომელთა გაშვება ცენზურის ბრძკალებს არ ეპრიანებოდა. მაგრამ ვით შეიძლების ყველა ფქტების ჩამოთვლა: გაგახსენებთ მხოლოდ ერთს მომენტს, მომენტს რომელსაც ჩვენი შერცხვენის ბექედი აზის: ეს გახლავსთ 1901 წელი, როდესაც ჩვენ ჩვენი პოლიტიკური სიკვდილი ზეიმ-განგაშით იდღესასწავლეთ, რომლითაც დავამტკიცეთ ჩვენი გადაგვარების პროცესის დასრულება, მისი სიმრავლე!.. აი, ამ დროს ერთად ერთს ხანანაშვილს ვხედავთ თავგამოდებულ მებრძოლს, მხოლოდ ეს ერთი გამოესარჩლა ჩვენს დაკარგულ უფლებათ, მხოლოდ მისი ხმა გაისმა ხმად უდაბნოში მლაღადებლისად, ჯერ კიდე 1809 წლიდან მოყოლებული ცხარე წერილებს ათვისებს „Русская Мысль-ში“, „Русский Вѣдомост-ში“, Вѣстникъ Европы-საში“ და სხვა და სხვა. ასეთივე ცეცხლის წერილები დაისტამბა გერმანულსა და ფრანგულ ჟურნალ-გაზეთებში. აღსანიშნავია სწორედ ამ შეერთების აღსანიშნავათ ფრანგულ ენაზე გამოსული „საქართველოს ისტორია“ რომლის თარგმნასაც ჯერ ჯერობით ვეტო აქვს დადებული. აი ვინ იყო ხანანაშვილი, ვინ დავკა-გეთ მისი სახელით! როგორც მარჯვე მოფარიკე იგი დაშნა და ხმალის ნაცვლად ატრიალებდა თავის-მადლიანს კალაქს, რ ის

გამოსათ ვოსტორგოვმა, გოლიცინმა და სახალხო განათლების მინისტრმა ბოგოლეპოვმა კინალამ არა თუ ვათედრა, არამედ სამშობლოს კარის ღრუბელიც არ დააკარგვინეს...

აქ შეიძლება კიდევ ბევრი რამ თქმულიყო განსვენებულის შესახებ, მაგრამ როგორც ვსთქვი, ამის ნებას არც დრო და არც გარემოება იძლევა. ხოლო რაც ითქვა, იქიდანაც კარგად შეგვიძლიან დავასკვნათ, რომ ქართველმა ერმა ალ. ს. ხახანაშვილის სახით დაჰკარგა უბადლო პოპულიარიზატორი ჩვენი მწერლობისა, საუკეთესო მკვლევარი ჩვენი წარსულის ნაშთებისა და სახელოვანი დარაჯი ჩვენს საჭიროებათა და მოთხოვნილებათა გამოსაქომაგებლად...

მე რომ მოქანდაკე ვყოფილიყა და ჩემთვის შეეკვთნათ მის წმიდა საფლავზე დასადგმელი ძეგლი, ვეცდებოდი, რომ მარმარილოს ზოდისთვის ჩამომეცალა ზედმეტი მტვერი, ცხოველი ხაზებით გამომეკვთა ალექსანდრეს მიმქრალი, სევდის ღრუბელით მოფენილი სპეტაკი სახე, ხოლო ხელში მიმეცა არა ალექსანდრე მაკედონელის ფერშუბი, ანუ ნაპოლეონის მკვეთრი დაშნა, მკვეთრი მახვილი, ან და ყველანის, რითაც ახასიათებენ საზოგადოდ სამშობლოსათვის თავდადებულ უკვდავ გმირებსა. არამედ შუაზე გადამტყდარს კალამის წვერს. თუმცა, ერთით კი, ვისთვის რა საჭიროა ასეთი ძეგლი, როდესაც თვითონ განსვენებულმა დიდი ხანია თავისი ნაშრომით ხელთ უქსარი ძეგლი დაიდგა, რომელსაც წარუშლელი ასოებით აქვს წარწერილი:

„ის კაცი იყო ვით შეჰფერის კაცსა კაცობა“!

დ. კახრაძე.

(ეს მოხსენება წაკითხულ იქნა 1 თებერვალს 1913 წ.)

ხალხური პოეზიის ნაწევრები

(შეგროვდა ანუტა კახანაძისგან)

გასტობელ პატარკაც ბექაურის ნათქვამი

სიკვდილმა სთქვა ზღვით წამოველ
 ზღვა ჩქეფით შემოვიარე
 დავხედე გუდამაყარსა,
 ყვავოდა როგორც იანი.
 ჩასვლა ვსთქვი აღარ ჩამიშვა
 ხატი ჰყოლია ძრიალი,
 შუა გზას შემომეგება
 პირი მზე პირ ოფლიანი
 ახლა ხევსურეთს ჩავხედე
 ფუოდა როგორც კიანი
 ჩავედი ეგრედ ვავთიბე
 როგორც კარგ ცელმა თივანი;
 ბევრისა დედა ვატირე;

ბევრისა ცოლი თმინი,
 ბევრისა ცეცხლი გავაქრე,
 კარნი დავყარნე ღიანი,
 ბევრისა თოფი შევკიდე,
 სიათა პირ კომლიანი
 ბევრს კალათა შევკიდე
 კინჩხაზე ჩხირ წინდიანი
 ბევრის ობოლი დავაგდე
 ყმაწვილი თოლ ცრემლიანი.

სიკვდილმა ჩამოიარა
 ობოლი დახვდა წინაო,
 მე წამიყვანე, სიკვდილო,
 ობლობა მომეწყინაო.
 შენ არ წაგიყვან, ობოლო,
 შენი დამტირე ვინაო;
 ზევით, ამბობენ ცხრა ძმათა—
 უნდა შაუხდე შინაო,
 გავრეკო ჩემსა სამწყსოში
 მივცე თავ თავის ბინაო.

გაგონილი ახალციხელ შაქრო სვანიშვილისაგან

ცოტას მხენელი და მთესველი
 ჰოი, ვის ვერ ამოუვა,
 ნოტიოში ჩიტი მოსჭამს
 გვალვაში სულ არ მოუვა.

სიკოქლითა რადა მწუნობ
 კურდღელს ხომ არ მადევნებო?
 დაგირეცხამ ჯამ ქურჭელსა
 კოვზებს ჩავიჩხრიალებო.

ხოვლური ღვინით დამთვრალი
 სამი დღე ვეგდე ლაფშია,
 ამიღეს, გამომათრიეს
 დამაგდეს დერეფანშია.
 მოვიდნენ ჩემი ტოლები
 ჩამიჩაკუნეს თავშია.

შე ოხერო სიღარიბე
 ჩემზე ხარ გახელებული
 საცა წავედი თან მომდევ
 ფარაჯას გამოხვეული.

ხიდისთავსა და გორს შუა
 ერთი მოყვარე მყვანდაო,
 არც არა მე მიუტანე
 არც არა იმას ჰქონდაო.
 მშიერი გამომისტუმრა
 იმის დედ-მამა ცხონდაო.

გორთხოვეთ კოოპერატიული ლაქა

ქართული
საზოგადოებო

„ლილი“

ქრძეუკეთა ამხანაგობა „ლილი“ თაუისი ნამდვილი და ჰიკაენური რძით მოიხოვა კარ-
გი ბეზარი და ახლა აფართოვებს თაუის საქმეებს, რითაც შეძლებს მიეცა მსურველთ
მიმწოდებს საუკეთესო რძე ბინასედ, ცალკე დაბეჭდილ ჭურჭელით.

რძის დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადგილებს: რედაქცია „კლდე“ Габаевский пер. № . და
ქართულ სამეურნეო საზოგადოების შლივანთან: Бяратинская 5.

Открыта подписка на 1913 годъ

на политическую, общественную и литературную ежедневную газету

„З А К А В К А З Ъ В Ё“

Безпартійно-прогрессивный демократическій органъ, обслуживающій интересы Закавказскаго
края, безъ различія націоналистей.

(Восьмой годъ изданія)

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

Съ доставкой въ городъ Тифлисъ:

12 м. 5 руб., 11 м. 4 р. 70 к., 10 м. 4 р. 40 к., 9 м. 4 р. 10 к., 8 м. 3 р. 80 к., 7 м. 3 р. 40., 6 м. 3 р.
5 м. 2 р. 60 к., 4 м. 2 р. 20 к., 3 м. 1 р. 75 к., 2 м. 1 р. 35 к., 1 м. 75 к.

Съ пересылкой для иногороднихъ

7 р., 6 р. 50 к., 6 р., 5 р. 50 в. 5 р., 4 р. 50 в. 4 р., 3 р. 50 к., 2 р. 80 в., 2 р. 10 в. 1 р. 40 в., 75 в.
За границу вдвое больше городской

Для годовыхъ подписчиковъ допускается РАСЧЕТКА по 1 р. въ мѣсяць.

Подписка принимается только съ перваго числа каждаго мѣсяца и не далѣе, какъ до конца года, въ кон-
торѣ редакціи на Дворцовой улицѣ, въ домѣ Грузинскаго Дворянства (входъ со двора грузинскаго театра.

Телефонъ № 917.

ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНІЯ:

Для Закавказья на мѣсто, занимаемой строкой цетита: впереди текста 15 коп., позади текста 10 коп., пос-
реди текста 50 коп. Стороннее сообщеніе 15 коп. зрѣлища и увеселенія 20 коп.

За многократныя объявленія скидка.

Объявленія о сирсѣ и предложеніи труда, объ отдачѣ вквартиръ, наймѣ прислуги и т. д. на 4 стр.—25 в.
каждое. Траурное объявленіе—4 руб.

Объявленіе внѣ предѣловъ Кавказа принимаются исключительно въ центральной конторѣ торговаче
дома Л. Э. Метцль и К. въ Москвѣ, Мясницкая д. Сытова, въ отдѣленіяхъ въ гор. С.-Петербургѣ—большая
Морская. № 11, въ Варшавѣ—Маршалковская, № 130, по 24 в. передъ текстомъ и 12 коп. послѣ текста.



მ ო ი თ ხ ო ვ ე თ ყ ვ ე ლ გ ა ნ



კოოპერატიული ღვინო


საზოგადოება „კახეთი“-სა



ღვო საზოგადოება „კახეთისა“: ღვინის მოტანა და გატანა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდა 1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენტში, ბათომში, მოსკოვში, არმავირში, ალექსანდროპოლში, ეკატერინოდარში.



სარდაფი „კახეთისა“: ღვინის გადაღებ-გადმოღება

საზოგადოების ადრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთი“

მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“ დაარსებულია 1894 წელს. საზოგადოებაში არის 164 წევრი. „კახეთის“ საზოგადოების წევრებს აქვთ 866%, ღვინით ვენახი, საიდანაც უზიდავენ საზოგადოებას ნამდვილ კახურ ღვინოს!

კალა ერთობაშია!

კახელებო! ჩვენ წერეთ საზოგადოების წევრებად და ამით დაიხსენით თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და საქმეში მონაწილეობით. ყოველ კახელისთვის ფრიად სასარგებლო „საზოგადოების“ გაფართოება — გაძლიერება, მისი წევრების გაძლიერების და გამდიდრების მომასწავებელია.

უკანასკნელ დროს საზოგადოების საქმიანი მოწოდებული და მკამიდად დახმეებულია.

მოითხოვეთ საზოგადოების წესდება.